გაზეთი ზევრის. „ვერსის“ ერთი

ვერსია

№33 (1623) 24 — 30 აგვისტო ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ნარკოტიკების გასაღების საიდუმლო სქემა

„დახვრეტა რომ მომისაჯოთ, არ დავასახელებ ინფორმატორს!“

ქართველი პუტინელების ფარისევლობა



ვინ იყო სინამდვილეში დარია დუგინა და რა ავი ზრახვები აქვს ალექსანდრ დუგინს საქართველოს მიმართ

„გვაქვს სრული ჭაობი!“

რატომ აკრიტიკებს და რას მიიჩნევს განათლების სისტემის მთავარ ნაკლად დიმიტრი შაშკინი

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რატომ არ განხილულა აფხაზეთის ომი საერთაშორისო სასამართლოებში

ლია მუხაშავრიას საგანგებო მიმართვა მათ, რომლებმაც გალი ოკუპაციის შემდეგ დატოვეს

ვახტანგ გომელაური ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო



შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩავიდა და შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო. ვახტანგ გომელაურმა, თავდაცვის მინისტრთან, ჯუანშერ ბურჭულაძესთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ოთარ შამუგიასთან ერთად, ხანძრის გავრცელების არეალი დაათვალიერა და ოპერატიული მართვის შტაბში სამუშაო თათბირს დაესწრო.

„ყველა კერა ჯერ, რა თქმა უნდა, ლოკალიზებული არ არის, მუშაობენ. იქიდან გამომდინარე, რომ გუშინ ქარი იყო და თითქმის ჩამქრალი, ლოკალიზებული ხანძარი ახლიდან გაღვივდა და გადავიდა მეორე მთაზე, დღესაც არის პატარ-პატარა კერები, არის აქტიური კერებიც, თუმცა მუშაობენ.

დაახლოებით, 1200 კაცზე მეტია მთლიანობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და გარემოს დაცვის წარმომადგენლებიც არიან.

ასევე, მობილიზებულია ტექნიკა – 120-110 ერთეული, მათ შორის, მძიმე ტექნიკა, ტრაქტორები, რომლებიც გზის გაყვანაზე მუშაობენ, რომ მიუდგნენ – ფიზიკურად ვერ უდგებიან ადამიანები.

ჩავიდნენ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ჩვენებიც, თუმცა წყალი თუ არ მიაწოდეს, მარტო ადამიანის ჩასვლა ცეცხლს ვერ ჩააქრობს. აქედან გამომდინარე, გზების გაყვანაზე მუშაობს ტექნიკა, რომ წყალი მივიდეს დანიშნულების ადგილამდე.

საშიშროება, რა თქმა უნდა, არის, თუ ქარი ამოვარდა. თუ არ ამოვარდა ქარი, ღამით კიდევ დავამუშავებთ და ხვალ უკეთესი მდგომარეობა იქნება. თუ ქარი ამოვარდა, რა თქმა უნდა, არის გავრცელების რისკი, შეიძლება, უფრო მეტად მოედოს ტერიტორიებს.

ლოკალიზებული გვაქვს სოფლებისკენ, მანქანებია მობილიზებული, რომ სოფლებში არ გადავიდეს. თუ ძლიერი ქარი ამოვარდა, შესაძლებელია, მეტი ტერიტორია დაიწვას, ვიდრე ახლაა დამწვარი. თუ ქარი არ ამოვარდა, ხვალ უკვე დაბალი კერები გვექნება.

როცა საჭიროდ ჩათვალეს და გამოიძახეს, მაშინ ჩაერთო ვერტმფრენი. გუშინ ვერ იმუშავეს ფიზიკურად, მარტო ოთხჯერ დაასხეს წყალი, ისეთი ქარი იყო, რომ ვერ ფრინდებოდნენ ვერტმფრენები. პირველ დღეს არ ჩათვალეს საჭიროდ, დაიწყეს მუშაობა, თუმცა ქარი ამოვარდა და ქარმა მერე გაავრცელა ეს ცეცხლი. ასეა გაწერილი – ვერტმფრენი ამ დროს უნდა ჩაერთოს და ამ დროს არ უნდა ჩაერთოს, ასეთი რაღაც არ არსებობს მსოფლიოში, მარტო ჩვენთან კი არა, არსად არ არსებობს. როცა ჩათვალეს საჭიროდ – გაუჭირდათ, ლოკალიზება ვერ ხერხდებოდა, აქედან გამომდინარე, გამოიძახეს, ჩამოვიდა. რამდენიმე დასხმა მოასწრეს, მაგრამ ისეთი ქარი იყო, რომ დანარჩენი ვერტმფრენები ვეღარ წამოვიყვანეთ.

მინდა, კიდევ გავუსვა ხაზი, ვერტმფრენი ერთია, ისე ნუ წარმოგვიდგენია, ვერტმფრენი რომ მიფრინდება, დაასხამს წყალს – დამთავრდება ყველაფერი. იქ თუ ფიზიკურად ადამიანებმა არ დაამუშავეს მიწა... წეღან ვუყურებდით, ვასხამდით წყალს, ამოვთხარეთ დაახლოებით 30 სანტიმეტრი და ისევ ცეცხლი ეკიდა. მთავარი კერა წყლით მუშავდება, თუმცა მერე ხელით თუ არ ჩახვედი და არ დაამუშავე, აზრი არ აქვს, დაახლოებით, ერთ საათში იგივე მოხდება“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის ქრობის სამუშაოები, რთული რელიეფის მიუხედავად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდირების მიზნით, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები კოორდინირებულად ახორციელებენ ხანძრის ქრობის სამუშაოებს.

ამ დროისთვის, ხანძრის ქრობის ღონისძიებებში მონაწილეობს 300 მეხანძრე-მაშველი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 300 თანამშრომელი. ხანძრის ქრობის პროცესში გუშინ და დღეს დილიდან, ჩართულნი არიან სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები და მობილიზებულია შესაბამისი სახანძრო-სამაშველო ავტოტექნიკა. დრონებით ხდება ხანძრის მონიტორინგი. ადგილზე შექმნილია ოპერატიული მართვის შტაბი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ონის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი საბრძოლო მასალის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაიწყო.

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ირში, საოკუპაციო ხაზთან, უკანონოდ აღმართულ ლითონის ორ ბოძზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, საბრძოლო მასალა „F-1“-ის ტიპის მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობა – ხელყუმბარა.

პოლიციამ დაუყოვნებლივ დაიწყო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. გამოძიების პროცესში, გამნაღმველების მონაწილეობით, მოხდა „F-1“-ის ტიპის მსგავსი, „სტრაიგ ბოლის“ სასწავლო-ხმოვანი, პლასტიკური კორპუსის მქონე ხელყუმბარების ამოღება, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, გამნაღმველების მიერ, ადგილზევე იქნა განადგურებული.

საბრძოლო მასალის აღმოჩენის ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 236-ე მუხლით გრძელდება.

პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში განზრახ მკვლელობისთვის ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული რ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, მეზობლად მცხოვრებ – 1991 წელს დაბადებულ ი.ა.-ს, დანის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

პოლიციამ რ.ბ., ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქართველი პუტინელების ფარისევლობა

ნინო დოლიძე

ვინ იყო სინამდვილეში დარია დუგინა და რა ავი ზრახვები აქვს ალექსანდრ დუგინს საქართველოს მიმართ

ქართველი პუტინელები დიდმა კაეშანმა მოიცვა – პუტინის მთავარი პროპაგანდისტის, ქართველთმოძულე და რუსული ფაშისტური იდეების „პატრიარქის“, ალექსანდრ დუგინის ქალიშვილის, დარიას აფეთქების გამო, ჩვენებური რუსეთუმეები ცრემლებს ღვრიან და გაიძახიან, მამის გამო, შვილები პასუხს არ უნდა აგებდნენო. ისე, დარიას პასუხი მამის ცოდვებისთვის არ უგია ანუ თავად გარდაცვლილიც, როგორც ცნობილია, პირწავარდნილი ფაშისტი იყო, თუმცა ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ. ახლა, რაც შეეხება ისევ ქართველი პუტინისტების „ტრაურს“, თქვე მამაცხონებულებო, დუგინის იდეებით ნაკვებმა პუტინმა უკრაინაში, ლამის, ოთხასი უდანაშაულო ბავშვი რომ გამოასალმა სიცოცხლეს, ამის გამო, ცრემლი ყასიდად მაინც რატომ არ დაღვარეთ? რა, ქრისტე მხოლოდ დუგინას გარდაცვალების დროს გაგახსენდათ? მოდით, პირდაპირ გეტყვით და არ გეწყინოთ: თქვენი ეს ვიშ-ვიში, ტიპური ფარისევლობაა და მეტი არაფერი!

ზოგადად, ვინმეს სიკვდილი ძალიან ცუდია. ასევე, ძალიან ცუდი და დიდი ბოროტებაა ტერაქტი, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რასაც ადამიანი დასთესს, იმასვე მოიმკის ანუ მამა-შვილი დუგინი ბოროტებასა და ღვარძლს თესდა და შედეგიც ასეთივე ღვარძლიანი და ბოროტი დადგა. ახლა, ვიღაცები გამოხტებიან და დაიწყებენ, მარია ბავშვი იყო (30 წლის) და რა ბოროტებას თესდაო. რას და, აი, ამას:

დარია დუგინა (პლატონოვა) დაიბადა მოსკოვში, 1992 წლის 15 დეკემბერს. 2015 წელს, დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და იქვე ჩააბარა ასპირანტურაში. სწავლის დასრულების შემდეგ, დარია დუგინა ცდილობდა, გაეგრძელებინა მამის საქმე და ხშირად კითხულობდა ლექციებს.

დარია დუგინა იზიარებდა მამის იდეებს და, გარდა ამისა, ახლოს იყო ევროპის მემარჯვენე პარტიების, განსაკუთრებით მარინ ლე პენის პარტიის მხარდამჭერებთან.

2021 წელს მიცემულ ერთ-ერთი ინტერვიუში, დარია დუგინამ მამის შესახებ დასმულ კითხვას ასე უპასუხა:

„დიდი პატივია, ვიყო ასეთი ადამიანის შვილი. ღირსეულად ვატარებ ამ პატივს, ვამაყობ მისით და ცდას არ ვაკლებ, გავაგრძელო, როგორც მისი იდეები, ასევე, ბრძოლა ბოროტებასთან“.

დარია დუგინა იყო ალექსანდრ დუგინის მიერ დაფუძნებული „საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

პოლიტიკური მეცნიერებისა და ფილოსოფიის გარდა, დარია დუგინა ჟურნალისტიკითაც იყო დაკავებული. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იგი უძღვებოდა გადაცემას სერგეი მარდანთან ერთად, რადიო „კომსომოლსკაია პრავდაში“.

„დარია დუგინა (პლატონოვა) ცნობილი იყო, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკური სატელევიზიო გადაცემების მონაწილე. ხშირად გამოდიოდა, როგორც ექსპერტი საფრანგეთის პოლიტიკის საკითხებში.

მისი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის იდეების გავლენის შესწავლა ანტიკურ სამყაროზე. არაა გამორიცხული, რომ პლატონის იდეებისა და მისი პიროვნებისადმი განსაკუთრებულმა გატაცებამ უბიძგა დუგინას სოციალური ქსელებისთვის აეღო ფსევდონიმი პლატონოვა.

დარია დუგინა ცნობილი იყო, ასევე, უკრაინაში, ე.წ. რუსული სპეცოპერაციის აქტიური მხარდაჭერით. პირადად იცნობდა ე.წ. დონბასის სახალხო ლაშქრის მებრძოლებს.

2022 წლის ივლისში, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დარია დუგინას (პლატონოვას) სანქციები დაუწესა უკრაინაში კონფლიქტის შესახებ „დეზინფორმაციის გავრცელებისთვის“, – ვკითხულობთ ინტერნეტში გავრცელებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება თავად უფროს დუგინს ანუ ალექსანდრს, რომელიც თანამედროვე რუსული ფაშიზმის მთავარი ფუძემდებელია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დუგინი ქართველთმოძულეობითაა ცნობილი და ამას მის მიერ, არცთუ დიდი ხნის წინ, „ალტ ინფოს“ ეთერში გაკეთებული განცხადებაც ცხადჰყოფს, რომლის თანახმადაც, 2008-ში, ის რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ ტანკები თბილისში შეეყვანა:

„როდესაც მე გამოვდიოდი წინადადებით, ტანკები შეგვეყვანა თბილისში, ეს არავითარ შემთხვევაში არ იყო მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ. თუ რუსული ტანკები შევიდოდნენ თბილისში, ჩემი აზრით, სიტუაცია დღევანდელისგან ბევრად განსხვავებული არ იქნებოდა. დღეს საქართველო უფრო ნეიტრალურია. დიახ, ჩვენ ვეწინააღმდეგებით ნატო-ს, ეს არის სასტიკი ბრძოლა გადარჩენისათვის, თუმცა არ ღირს რუსული ოკუპაციის დემონიზება... სინამდვილეში, საქართველოს დანაწევრების იდეა არასოდეს არ შედიოდა რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში. სხვა საქმეა, რომ იმისთვის, რათა საქართველო ერთიანი იყოს, მინიმუმ, ნეიტრალური უნდა იყოს. იგივე პრინციპი მოქმედებს უკრაინასთან დაკავშირებითაც“.

სხვათა შორის, ინტერნეტმედიაში უკვე გაჩნდა ვერსია, რომ დუგინის ქალიშვილის აფეთქება, რომელზეც პასუხისმგებლობა „რუსეთის რესპუბლიკურმა პარტიამ“ აიღო, ოფიციალურმა მოსკოვმა კი ხელი კიევისკენ გაიშვირა, თავად რუსული სპეცსამსახურების მოწყობილია. კერძოდ, სახელდება „ეფ ეს ბე“. ეს ვერსია ფაქტებით არ არის გამყარებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, სავსებით დასაშვებია, რომ პუტინმა ახალი თამაში დაიწყო და დუგინა სასიკვდილოდაც ამიტომ გაწირა.

ასეა თუ ისე, დუგინას მკვლელობა, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, რუსეთში, შესაძლოა, ახალი პროცესების დაწყების საბაბი გახდეს, ან უფრო სწორად, ეს პროცესები, შესაძლოა, უკვე დაიწყო.

და ბოლოს, წეღანდელი თქმისა არ იყოს, ნებისმიერი ტერაქტი და მკვლელობა დასაგმობია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულაც არ არის რელევანტური, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაზე საუბრისას, „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა გავიხსენოთ. სჯობს, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ცრუ მწუხარებასა და ნიანგის ცრემლების ღვრასაც თავი დავანებოთ!

ისე, ქართველო პუტინელებო, გულწრფელად თქვით: მოგეწონათ, „ალტ ინფოს“ ზურაბ მახარაძემ დუგინს სამძიმარი რომ გამოუცხადა? თუ მოგეწონათ, შეგიძლიათ, თქვენც ასე მოიქცეთ, მაგრამ როცა დუგინას გლოვობთ, ის ოთხასამდე უდანაშაულო ბავშვიც გაიხსენეთ, თქვენმა პუტინმა უკრაინაში რომ მოკლა!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ არ განხილულა აფხაზეთის ომი საერთაშორისო სასამართლოებში

ლია მუხაშავრიას საგანგებო მიმართვა მათ, რომლებმაც გალი ოკუპაციის შემდეგ დატოვეს

საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენიდან – აფხაზეთის ომიდან 30 წელი გავიდა. საომარი მოქმედებების ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის დაცემას წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით, მხარეებს შორის მოლაპარაკებები. 27 ივლისს, ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია მაშინ, როცა ქართულ მხარეს აფხაზეთიდან გამოყვანილი ჰყავდა მძიმე სამხედრო ტექნიკა. ომის შედეგად, აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 ათასამდე ადამიანს მოუწია. საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან, ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით, 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. 30 წლის შემდეგ, აფხაზეთი ისევ ოკუპირებული და, სამაჩაბლოსთან ერთად, ყველა ქართველი პატრიოტისთვის მოუშუშებელ ტკივილია... სამწუხაროა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომისგან განსხვავებით, აფხაზეთის ომის საკითხი არცერთ საერთაშორისო სასამართლოში არ განხილულა... რატომ? – ვერსიას“ უფლებადამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია ესაუბრა:

– აფხაზეთის ომზე სამართლებრივ კონტექსტში შემიძლია ვისაუბრო, რადგან ჩემი სპეციალობა და პროფესია ამ ცოდნას მოიცავს. დიპლომატიურ და პოლიტიკურ საერთაშორისო ასპექტზე ვერაფერს გეტყვით. შემიძლია, მარტივად გითხრათ, რომ სამწუხაროდ, აფხაზეთის ომი არ ხვდება საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქციაში იმის გამო, რომ მაშინ, როცა 1992-93 წლებში, ეს ომი მიმდინარეობდა, არ ვიყავით ხელმომწერი იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას გულისხმობს. ამიტომ ჩაითვალა, რომ ეს იყო ლოკალური ომი, რომელიც 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, მაგრამ ძალიან საყურადღებოა აღინიშნოს, რომ როდესაც საქართველოს მთავრობამ ჰააგის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა (არა სისხლის სამართლის ტრიბუნალს, არამედ, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს) აგვისტოს დღეებშივე, მაშინ აფხაზეთის ომით მოიხსენიეს, როგორც რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესია, ომი და ომის დანაშაული. რა თქმა უნდა, ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ საჩივრის ნაწილი განუხილველად დატოვა და ძალიან ცალსახადაა ნათქვამი შუალედურ გადაწყვეტილებაში, რომ ეს პერიოდი ვერ ხვდება ამ სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ და ამ საკითხებზე სასამართლო არ იმსჯელებს. ცალსახაა, რომ მიუხედავად იმ ტრაგიკული მოვლენებისა და ადამიანების წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულებისა, რომლებიც აფხაზეთის ომის დროს ხდებოდა, სამწუხაროდ, ვერ ხვდება საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების მოქმედების ქვეშ და არც ჩვენ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ამ კუთხით, რამე შეიცვლება.

– ეს გასაგებია, მაგრამ ოკუპაცია დღემდე გრძელდება და 300 000 დევნილი ვერ ბრუნდება საკუთარ სახლში. დევნილების უფლებების აღდგენის კონტექსტში მაინც არ შეიძლება, რომ აღიძრას საქმე ევროპულ სასამართლოში?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. დედაჩემი გალიდან იყო, მე თავად გალში დავიბადე და რამდენჯერმე ვიყავი იქ ნათესავებთან ოკუპაციის პერიოდში. ისინი არასდროს წამოსულან იქიდან, ბოლო პერიოდში, ჩემთვის ძალიან გართულებულია იქ მოხვედრა. მინდა, გითხრათ, რომ ეს ჩემთვის არ არის მხოლოდ ისტორიის ნაწილი, პირადი ტრაგედიაა. დღესაც ხდება დარღვევები და გვაქვს უფლება, გავასაჩივროთ ევროსასამართლოში. მაგალითად, გალში ბავშვებს არ ასწავლიან მშობლიურ ენაზე, რის გამოც ბევრი ახალგაზრდა ოჯახი იძულებულია, დატოვოს გალის რაიონი და წამოვიდეს აქეთ, რადგან ბავშვები სათანადო განათლებას იქ ვერ იღებენ. ადრე რამდენიმე საათს უთმობდნენ ქართული ენის სწავლებას და ახლა საერთოდ ამოიღეს, რაც ძალიან მტკივნეული თემაა.

ვისარგებლებ შესაძლებლობით და მივმართავ მათ, რომლებიც ამ მოტივით გახდნენ იძულებულნი, დაეტოვებინათ ოკუპაციის შემდეგ იქაურობა, მათ აქვთ სრული სამართლებრივი მხარდაჭერა და შესაძლებლობა, რომ ეს გაასაჩივრონ ევროსასამართლოში, რადგან მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა და შეზღუდვა ევროკონვენციის მე-8 მუხლის ძალიან მნიშვნელოვანი დარღვევაა. შეგვიძლია, ვიდავოთ და მოვითხოვოთ, რომ მიუხედავად იმისა, ოკუპირებულია ეს ტერიტორია, იქ განათლების მიღების უფლება ქართველ ბავშვებს ჰქონდეთ მშობლიურ ენაზე.

– გამოდის, რომ ევროსასამართლოში ამ საკითხის გასაჩივრების უფლება მხოლოდ სახლმწიფოს კი არა, მოქალაქეებსაც აქვთ?

– დიახ და მზად ვარ, ვიმუშაო მათ საქმეზე, თუ თანახმა იქნებიან. სტრასბურგის სასამართლოში გვქონდა საქმე შეტანილი რუსეთის წინააღმდეგ, ეს იყო სახელმწიფოთაშორისი დავა და როგორც იცით, მოვიგეთ. ერთი იყო 2006 წელს, რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის საკითხი და მეორე იყო აგვისტოს ომის საქმე, რომელიც ასევე, მოვიგეთ 2021 წელს. თუმცა იმის გამო, რომ რუსეთი ერთადერთი გამონაკლისია ევროპის საბჭოს ქვეყნებიდან, რომელიც არ ასრულებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, ეს გადაწყვეტილებებიც ნაწილობრივ აღუსრულებელია – კომპენსაცია არაა გადახდილი და ბევრი რამ, რაც ევროსასამართლომ დაავალა რუსეთს, არ შეუსრულებიათ. რა თქმა უნდა, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და მიუხედავად ყველაფრისა, უნდა გავაგრძელოთ ამ კატეგორიის საქმეების გასაჩივრება და მათი მოგება.

– ქალბატონო ლია, რადგან ახსენეთ, გთხოვთ, განმარტოთ, რა სახის დავა მოიგო საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში 2008 წლის ომთან დაკავშირებით? რადგანაც აფხაზეთის ომისგან განსხვავებით, აგვისტოს ომზე მაინც მივაღწიეთ სამართალს, მნიშვნელოვანია, ეს დეტალები საზოგადოებამ იცოდეს...

– რუსეთმა წააგო, რადგან აღიარებულია, რომ ის იყო 2008 წლის ომის მხარე და ომში აქტიურად იყო ჩაბმული, რომ მისი საჯარისო ნაწილები იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც დაარღვიეს ევროკონვენციის მესამე და მეხუთე მუხლები, რადგან ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობას, ადამიანთა წამებას და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობას. ასობით მოქალაქე იქნა დატყვევებული და როგორც ომის ტყვეები, იმყოფებოდნენ ცხინვალის იზოლატორში, სადაც გახდნენ არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლნი. ეს ყველაფერი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ძალიან მკაფიოდ წერია. ასევე, მკაფიოდაა აღნიშნული, რომ ამ ომში რუსეთი იყო მხარე და მან დაარღვია ომის კანონები და ევროკონვენცია. ამ მიღწევის შემდეგ, უფრო წინ ვერ წავედით ოკუპაციის საკითხის სამართლებრივ ჭრილში გადაწყვეტის თვალსაზრისით, რადგან მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. დღემდე იტაცებენ ადამიანებს იმ ტერიტორიებიდან. დღემდე ეს ხალხი სიცოცხლის ყოველწუთიერი რისკის ქვეშ ცხოვრობს... საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის არწმუნებდა საერთაშორისო სასამართლოებს, რომ ამ საქმეთა გამოსაძიებლად ყველაფერს გააკეთებდნენ, მაგრამ ფაქტობრივად, მათ არაფერი გაუკეთებიათ. ეს საქმეები ისევ თაროზე დევს, ამასობაში კი დიდი დრო გავიდა. როცა სუვერენული სახელმწიფო აცხადებს, რომ თავად გამოიძიებს თავის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებს, რა თქმა უნდა, საერთაშორისო მექანიზმები ამ დროს ჩერდება და ელოდებიან მათი ქმედებების შედეგებს.

გავიდა ძალიან დიდი დრო და როგორც იქნა, დაიძრა ჩვენი საქმე ჰააგის ტრიბუნალში, სადაც გამოძიება უფრო ინტენსიურად მიდის და ვფიქრობ, რომ ამას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყებამ. ახლახანს გამოვიდა დაპატიმრების სანქცია, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად არაადეკვატური ზომაა. სანქციები გაიცა 4 ადამიანზე და მათგან ერთი გარდაცვლილია... ასე რომ, ამ საქმის გამოძიება ჰააგის ტრიბუნალში არ მიდის სათანადო ტემპში, მაგრამ მარტო მათი ბრალიც არაა. ეს, დიდწილად, ჩვენი ხელისუფლების ბრალიცაა, რომელიც არ იყო აქტიური თავის დროზე და არ შეასრულა ის ვალდებულებები, რომლის სტატუსიც მას ეკისრებოდა. ეს ვალდებულებები, ერთი მხრივ, გულისხმობს იმას, რომ შენს ტერიტორიაზე არ უნდა დაუშვა ომის დანაშაული, ხოლო თუ ასეთი დანაშაული მაინც მოხდა, უნდა გამოიძიო, გამოავლინო დამნაშავე და დასაჯო, მაგრამ ეს ვალდებულებები საქართველოს მთავრობას არ განუხორციელებია. არადა, აგრესორისგან დაზარალებულმა მხარემ ყოველთვის და ყველგან უნდა იაქტიუროს. თუ დაზარალებული არ ითხოვს კომპენსაციას, დარღვეული უფლებების აღდგენას, მსოფლიოში ბევრი პრიორიტეტული საკითხია და არავის სცალია, ზედმეტი თავისუფალი დრო არ აქვთ.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„გვაქვს სრული ჭაობი!“

რატომ აკრიტიკებს და რას მიიჩნევს განათლების სისტემის მთავარ ნაკლად დიმიტრი შაშკინი

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან განახლდება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შედის, რომლის მიხედვითაც, 2022-2023 სასწავლო წელს, პირველ კლასში შესვლის უფლება ექნებათ 5 წლის ბავშვებს, კონკრეტულად კი მათ, რომლებსაც 6 წელი 1 ოქტომბრამდე შეუსრულდებათ. ამასთან, ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან. ახალი სასწავლო წლიდან, მე-10 კლასის მოსწავლეებს „საქართველოს ისტორიას“ ცალკე საგნად ასწავლიან, ექნებათ ახალი სახელმძღვანელოც. ასევე, ეტაპობრივად, სკოლებში ექიმის საათის დანერგვა იწყება და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ საჭირო ინფორმაციას მიიღებენ. სამედიცინო თვალსაზრისით, ბავშვებთან ურთიერთობის გარდა, სკოლის ექიმს საგანმანათლებლო საკითხების განხილვაც დაევალება. საგანმანათლებლო თემებში შედის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ჰიგიენა, კვება, ფიზიკური აქტივობა, გენდერული სტერეოტიპები, თანასწორობა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: უცხო ადამიანებთან ურთიერთობა, დაკარგვის შემთხვევაში ქცევის წესები, ემოციების ამოცნობა და მათთვის თავისი სახელის დარქმევა, რას ნიშნავს საფრთხის შემცველი შეხება და ასე შემდეგ. 2023 წლიდან, ექიმის საათი ყველა სკოლაში სავალდებულო იქნება.

რა გამოწვევების წინაშე დგას დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა – „ვერსია“ განათლების ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინს ესაუბრა:

– განათლების სისტემის მთავარ პრობლემად რჩება საშუალო და პროფესიული განათლება. უმაღლესი განათლება, ასე თუ ისე, უნივერსიტეტებისა და განსაკუთრებით, კერძო უნივერსიტეტების მეშვეობით ვითარდება. რაც შეეხება საშუალო და პროფესიულ განათლებას, აქ გვაქვს სრული ჭაობი და ამ ორ სფეროში ჭაობი უდრის უკუსვლას იმიტომ, რომ მსოფლიო ვითარდება ძალიან სწრაფად, გლობალიზაციის პირობებში, უსწრაფესად ვითარდებიან ქვეყნები, ჩვენ კი დავრჩით ჭაობში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მანძილი, რომელიც განგვასხვავებს წარმატებულ ქვეყნებთან, უფრო იზრდება.

საშუალო განათლებას საქართველოში, როგორც ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, აქვს პრობლემების სამი ძირითადი ბლოკი: მენეჯმენტი და დაფინანსება; მასწავლებლების კვალიფიკაცია და კონტენტი ანუ რას ვასწავლით ბავშვებს.

აბა, მოიძიეთ ინფორმაცია, ბოლოს როდის იყო მიხეილ ჩხენკელი საჯარო სკოლებში შესული და როდის გაეცნო პრობლემებს, უშუალოდ, სკოლაში? ზის თავის კაბინეტში და აზრზე არ არის, რა ხდება საჯარო სკოლებში. ნებისმიერ მშობელს ჰკითხეთ, კმაყოფილია თუ არა იმ განათლებით, რომელსაც ბავშვი იღებს სკოლაში და მიიღებთ პასუხს, რატომ არის ჭაობი. რაც შეეხება მასწავლებლების კვალიფიკაციას, აქაც გადახედეთ სამინისტროს ვებ-გვერდს და ნახეთ, ბოლოს რა გააკეთა სამინისტრომ იმისთვის, რომ მასწავლებლების კვალიფიკაცია ამაღლებულიყო? საქართველოში მასწავლებლების ასაკი მაღალია და უმრავლესობამ უნივერსიტეტი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაამთავრა. იმაზე არ ვსაუბრობ, საბჭოთა განათლება ცუდი იყო თუ კარგი... ვამბობ იმას, რომ ეს იყო სხვანაირი და არ შეესაბამება იმ გამოწვევებს, რომელიც არის 21-ე საუკუნეში. არაფერია მუდმივი და თუ მასწავლებლებს სახელმწიფო არ დაეხმარა კვალიფიკაციის ამაღლებაში... თუ ფიზიკის მასწავლებელს არ ვასწავლეთ ის, თუ რა არის გრავიტაციის ტალღა, რაც ახლახანს დამტკიცდა, საბჭოთა კავშირის დროს მიღებული განათლებით, ამის შესახებ მან არ იცის, რადგან არც საკუთარი რესურსი აქვს, რომ კვალიფიკაციის ამაღლებაზე იმუშაოს და არც დრო აქვს, რადგან სამინისტროს მიერ დაწესებული ბიუროკრატიული, უაზრო საქმითაა დაკავებული. არადა, სახელმწიფოს მოვალეობაა, რომ მასწავლებელს დაეხმაროს...

– კი, მაგრამ ხომ არის გასათვალისწინებელი, რომ მასწავლებლებს ეტაპობრივად ანაზღაურება ეზრდებათ?

– მასწავლებლებისთვის ხელფასის მატება მათ კვალიფიკაციასთან კორელაციაში არაა. ძალიან კარგია, რომ ხელფასი ეზრდებათ, ოღონდ ამიხსენით, ეს როგორ აისახება კვალიფიკაციაზე?

– მასწავლებელთა შეფასების გამოცდებზე რას იტყვით?

– მასწავლებლისთვის გამოცდა თვითმიზანი კი არა, არამედ, საშუალებაა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. გამოცდისთვის მასწავლებელი უნდა მოამზადო და თუ სახელმწიფო არ ამზადებს, მაშინ პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, თუ ვერ აბარებს საგნის გამოცდას.

– თქვენი ხედვით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება როგორ უნდა მიმდინარეობდეს?

– ისე, როგორც იყო დაგეგმილი და ნაგავში გადააგდეს გეგმა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების. პირველივე წელს, როცა ეს პროგრამა დავიწყეთ, 60 000-დან 17 000 მასწავლებელი გახდა სერტიფიცირებული და თუ არ ვცდები, 2-3 ათასით გაიზარდა ამ 10 წლის მანძილზე. კონტენტს რაც შეეხება, ერთ-ერთი ცვლილება ისაა, რომ სამინისტროს სავალდებულო საგნად შეაქვს პირველ კლასში ჭადრაკის სწავლება. პრობლემა კი ისაა, რომ ამ სტრუქტურაში ახლად მოსულ ხალხს შეკითხვის უნარი არ აქვს ან არაფერი ესმის განათლების სისტემისა. ხომ იცით, მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი? – მისგან 2011 წელს ვიყიდეთ პროგრამა ჭადრაკის სწავლებისა, რომელიც იყო დანარგილი სკოლებში ანუ კომპიუტერული პროგრამა მსოფლიო ჩემპიონისგან შევიძინეთ და დავნერგეთ და იცით, რატომ?

– ალბათ, იმიტომ, რომ კადრების დეფიციტი იყო...

– დიახ! ახლა კი, რასაც ჩხენკელი ხელს აწერს, ეს პროფანაციაა, რადგან ყველა სკოლაში ახლა ჭადრაკის სწავლება სავალდებულოდ რომ შეიტანო, მინიმუმ, 2 300 პედაგოგი გჭირდება, რომელიც იქნება მომზადებული, მოტივირებული. ჭადრაკის სწავლებაში, პაიკის გადაადგილებას თუ გულისხმობენ, ეს სხვაა, მაგრამ თუ უნდათ ჭადრაკის მართლა სწავლება ბავშვებისთვის, სანამ ბრძანებას მოაწერს ხელს, როგორც მინიმუმ, მასწავლებელთა შერჩევის კონკურსი უნდა გამართოს. ეს აბსოლუტურად იგივეა, ჯეჯელავა ვაშლებს რომ არიგებდა და ეს ახლა, ვითომ ჭადრაკს ასწავლის ბავშვებს. დავიმახსოვროთ ჩვენი ეს საუბარი, 6 თვეში გავისაუბროთ და ვნახოთ, რამდენ სკოლაში იქნება ჭადრაკის სწავლება დანერგილი.

– კასპაროვისგან შეძენილი პროგრამით როდის ისწავლებოდა ჭადრაკი სკოლებში?!

– კი, რა თქმა უნდა, სწავლობდნენ 2011 წელს. ეს პროგრამა ინახება განათლების სამინისტროში და შეუძლიათ, გამოიყენონ, მაგრამ ვინც ოდნავ აზროვნებდა, ყველა გაყარეს სამინისტროდან...

– მაშინაც სავალდებულო იყო ჭადრაკის სწავლება თუ ნებაყოფლობითი?

– როცა გაქვს ინფრასტრუქტურა, შეგიძლია, სავალდებულო გახადო ან არჩევით საგნად შესთავაზო. ჭადრაკის დაწყებითი დონე იყო სავალდებულო სკოლებში და ვასწავლიდით, მაგრამ ვისაც უნდა განვითარება და უფრო მეტი სწავლება, რა თქმა უნდა, გადადის არჩევით საგნებში.

– ბატონო დიმიტრი, საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად გამოყოფა სწორ გადაწყვეტილებად მიგაჩნიათ?

– „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად აითვისა „ბოლის“ შექმნა რაღაც საკითხის გარშემო. ნებისმიერი ბავშვის მშობელს ჰკითხეთ, საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა სკოლებში? – რა თქმა უნდა, ისწავლებოდა. ეს არის აბსოლუტურად იგივე, რაც გოგებაშვილის „დედა ენაზე“ მოხდა. არსებობს ჩემი, როგორც განათლების მინისტრის ბრძანება, რომელშიც წერია, რომ ნებისმიერი „დედა ენა“ უნდა ეფუძნებოდეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძვლებს.

დასასრული მე-6 გვერდზე

„გვაქვს სრული ჭაობი!“

მე-5 გვერდიდან

რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, იცით? – თქვეს, ჩვენ დავაბრუნებთ გოგებაშვილის „დედა ენასო“. ყველა ექსპერტი, ქართველოლოგი ეუბნებოდა, რომ გოგებაშვილის „დედა ენის“ კოპირებით დაბრუნება სკოლებში შეუძლებელია, რადგან ეს ძველი სახელმძღვანელოა, ბევრი რამ შეიცვალა და ის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც შევიდა სკოლებში, ყველა ეფუძნებოდა გოგებაშვილის „დედა ენას“. რეალურად არაფერი შეიცვალა, მაგრამ თქვეს, გოგებაშვილის „დედა ენა“ დავაბრუნეთო. ხალხმა, რომელსაც ამაზე ინფორმაცია არ ჰქონდა, ტაში დაუკრა. ახლა იგივე ხდება საქართველოს ისტორიაზე, ეს ყოველთვის ისწავლებოდა და ახლა საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ისტორია დავაბრუნეთ სკოლებში და ცალკე საგნად ისწავლებაო, არასწორია... გადახედეთ კურიკულუმს, მოცულობაში რამე შეიცვალა? ქართული ისტორიის ნაწილი იგივე დარჩა, მაგრამ შექმნეს საპიარო სვლა და თქვეს, ქართული ისტორიის სწავლებას ვაძლიერებთო. საქართველოს ისტორიაში რომ უნდა შემოვიდეს მეტი ნაწილი, რაც უახლეს ისტორიას ეხება, ეს სხვა საკითხია და ახლაც არ არსებობს ისტორიკოსებში კონსენსუსი კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით. არ ვსაუბრობ 10 ან 20 წლის წინანდელ ფაქტებზე, არამედ, 1921 წელზე, 60-იან წლებზე... კარგად მახსოვს, ჩემს კარიერაში ერთხელ ვცადე, რომ ჩემი ფასეულობები გვერდზე გადამედო და ვთქვი, მოდი, სახელმწიფომ დაწეროს სახელმძღვანელო-მეთქი. გამოვყავით გრანტი, შეიქმნა ისტორიკოსების ჯგუფი და დაიწერა სახელმძღვანელო ბოლო 200 წლის ისტორიისა, მაგრამ არ ჩავუშვით სწავლებაში, რადგან მეცნიერებმა ერთმანეთი „დახოცეს“ (მაპატიეთ ჟარგონისთვის), კონსენსუსამდე ვერ მივიდნენ და მე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა, ჩემს თავზე ვერ ავიღე პასუხისმგებლობა, რადგან არ ვარ ისტორიკოსი. მეცნიერები ვერ შეთანხმდნენ და ეს პრობლემა ყოველთვის დარჩება. ეს არ ნიშნავს, რომ სკოლებში საქართველოს ისტორია არ ისწავლება. ბავშვებში უნდა განვავითაროთ კრიტიკული აზროვნება, რომ სხვადასხვა წყაროები წაიკითხონ და თავად გამოიტანომ დასკვნები. რაც შეეხება 5 წლის ასაკში პირველ კლასში დაშვებას, ზუსტად 10 წელია, ჯიუტად, სადისტურად არ უშვებენ ბავშვებს სკოლებში, რომელთაც 6 წელი უსრულდებათ, სწავლის დაწყებიდან ერთი ან ორი დღის დაგვიანებით. ახლა კი ეს დადგენილება, იცით, რატომ მიიღეს? – მაღალჩინოსნების შვილები ხდებიან პირველკლასელები. გვარებს არ დავასახელებ, რადგან ბავშვებს ეხება...

– ბატონო დიმიტრი, მანდატურის სამსახური სკოლებში თქვენი მინისტრობის დროს დაინერგა. თუ ადევნებთ თვალს, როგორ მიმდინარეობს ეს რეფორმა?

– მანდატურის სისტემა განადგურებულია. როცა რეფორმას აკეთებ, მისი შინაარსი უნდა გესმოდეს. მანდატურის სამსახურის მთავარი იდეა იყო ის, რომ მანდატური არ ექვემდებარებოდა სკოლის დირექტორს. 8 წლის განმავლობაში, ამას ჯიუტად ცვლიან და დაუქვემდებარეს სკოლის დირექტორებს. გაანადგურეს სისტემა და ახლა ცდილობენ, კვლავ დააბრუნონ მანდატურების დამოუკიდებლობა. ვამაყობ, რომ 11 წლის წინ, შევქმენი სისტემა, რომელსაც მარგველაშვილიდან დაწყებული, ჯეჯელავათი გაგრძელებული, ჩხენკელის მეთაურობით ანგრევენ და ვერ დაანგრიეს ბოლომდე. მართალია, 30%-ით ასრულებენ მოვალეობას, მაგრამ მაინც დგას სისტემა. მე ახლა საქართველოში არ ვმუშაობ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ვმუშაობ უკვე 10 წელია და ეს ქვეყნები მე, რომელიც 11 წლის წინ ვიყავი მინისტრი, მეკითხებიან და ჩემს რჩევას ითვალისწინებენ, ნერგავენ საკუთარ ქვეყნებში. ამაში ფულს გვიხდიან და ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ რაც 10-15 წლის წინ გავაკეთეთ საქართველოში, რაოდენ მნიშვნელოვანი და თანამედროვე იყო? მანდატურის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენგან დაინერგა.

– მიიჩნევთ თუ არა, რომ დღეს, სკოლებში, ქართული ენის გრამატიკის შესწავლას უფრო მეტი დრო უნდა ეთმობოდეს?

– ჩემი მინისტრობის დროს შევიდა ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც მიღებული იყო ჩემამდე, რაზეც იმუშავეს ექსპერტებმა და მევალებოდა ამის დანერგვა. ხაზი მინდა გავუსვა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, საგანს რას დაარქმევ, გაერთიანებული იქნება ლიტერატურა და გრამატიკა თუ არა. რა თქმა უნდა, გრამატიკის სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაფერი დამოკიდებულია სწავლების საათებზე და პროფესიულ მასწავლებლებზე. თუ საათების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ ქართული გრამატიკა იყოს შესწავლილი, არ აქვს მნიშვნელობა, რა ერქმევა საგანს. მთავარია, საათების რაოდენობა და მასწავლებელი, რომელსაც დიახ, უნდა ჰქონდეს კარგი ხელფასი, თუმცა ამავე დროს, უნდა ჰქონდეს კარგი კვალიფიკაცია და ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ერთიანი ეროვნული გამოცდების პრინციპმა თავი ამოწურა...

– რას გულისხმობთ?

– 2006 წელს, როცა შემოვიღეთ ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაშინ მთავარი გამოწვევა იყო კორუფცია უნივერსიტეტებში. 2012 წელს, ეროვნულმა გამოცდებმა ეს პრობლემა მოაგვარა და მაშინ დადგა საკითხი, რომ უნდა გადავსულიყავით განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ერთიანი ეროვნული გამოცდები განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს იმის გამო, რომ ბავშვები იწყებენ მომზადებას კონკრეტულ საგნებში, გამოცდებისთვის, დანარჩენ საგნებს კი ივიწყებენ. ამისთვის შემოვიღეთ საატესტატო გამოცდები, რომელმაც ბავშვები დააბრუნა სკოლებში. მეორე ეტაპი 2013 წლის სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო, უნდა გაერთიანებულიყო საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდები ანუ ბავშვს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, სკოლაში ჩაებარებინა საატესტატო გამოცდები, შემდეგ ჩააბარებდა მხოლოდ უნარების გამოცდას, რომელიც განსაზღვრავდა მისი დაფინანსების საკითხს. ეს იყო ყველაზე სამართლიანი გეგმა, უნარები ან გაქვს, ან – არა. ნიჭიერი ბავშვები ჩააბარებდნენ და მიიღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას და ეს იქნებოდა სამართლიანი პრინციპი და რეპეტიტორზე არ იქნებოდა დამოკიდებული. გაანადგურეს ეს რეფორმა, 2006 წლიდან გავიდა 16 წელი და მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები შედის ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში. არავინ ეხება არსს, ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა თავი ამოწურა, როგორც კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმმა. მსოფლიოში ფასი აქვს სკოლის ატესტატს. სკოლის ნიშნებით აბარებენ, მაგრამ იმ პირობებში, როცა სკოლა განადგურებულია, ბუნებრივია, ამ რეფორმას ვერ განახორციელებ.

– როგორ ფიქრობთ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად, საჭიროა ისეთი მძლავრი რეფორმა, როგორიც, მაგალითად, 2006 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება იყო?

– როცა რეფორმას იწყებ, უნდა მოგვარდეს მენეჯმენტის პრობლემა, შემდეგ მასწავლებლების კვალიფიკაცია და შემდეგ – კონტენტი. რა მნიშვნელობა აქვს, რას დაწერ ქაღალდზე, გინდ ჭადრაკი შემოიღე, გინდ – ბალეტი, თუ არ გაქვს ამის უზრუნველყოფის რესურსი, ყველაფერი ქაღალდზე რჩება.

ტურიზმის განსავითარებლად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები აჭარაში

მაკა რუხაძე

უხარისხო ინფრასტრუქტურული პროექტები და ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში – სახელმწიფო აუდიტის ახალი სკანდალური დასკვნა

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. მეტიც, საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით, ტურიზმი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგი, რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას უწყობს ხელს. საინტერესოა, როგორ ვითარდება ტურიზმი აჭარაში, რასაც ხელი ჯერ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ და „ლოქდაუნმა" შეუშალა, ახლა კი უკვე რუსეთის უკრაინაში შეჭრამ შეაფერხა. სწორედ ამ თემით დაინტერესდნენ სახელმწიფო აუდიტორები და მორიგი დასკვნაც გამოაქვეყნეს, რომელიც 2017-2020 წლების პერიოდს ეხება. აუდიტორულ ანგარიშში ასახულია, როგორც ტურიზმის მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი, ასევე, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრიობაც. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დარღვევები გამოვლინდა, როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ასევე სახელმწიფო შესყიდვებში.

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2017 წლიდან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, ტურისტებისთვის, დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს. ამ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ მიუხედავად საბიუჯეტო რესურსების ხარჯვისა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ამ მიზნით, 2017-2019 წლებში, 3 853 800 ლარი გაიხარჯა), ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

„ის ადგილები, რომლებიც დასრულებულია და ვიზიტორებს უნდა იღებდეს, მოუვლელი და მიტოვებულია. პროგრამის დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს გამოვლენილი გარემოებები ადასტურებს, რომ სამინისტროს, როგორც პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე, მიღებული პროდუქტის სათანადო მოვლა-პატრონობის მიმართულებით, პრობლემები აქვს, რაც საბოლოოდ, ამ პროგრამის განხორციელების შეფერხებასა და მოსალოდნელი სარგებლის ვერ მიღებას იწვევს", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას" ახორციელებს. ამ პროგრამის ფარგლებში, 2014-2020 წლებში, 40-მა ბენეფიციარმა 2 811 300 ლარის მოცულობის სესხი მიიღო. სესხის მომსახურების თანადაფინანსებაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადახდილია 610 600 ლარი, ხოლო 2016-2019 წლებში – 460 600 ლარი.

„მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გაცემული სესხები, 2007-2013 წლებში, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან, კომერციული ბანკიდან ან/და კერძო გამსესხებლებისგან აღებული სესხების რეფინანსირებას წარმოადგენს. შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში არსებული არაეფექტიანი მექანიზმების არსებობის გამო, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსი მოხმარდა უფრო გადახდისუუნარობის რისკქვეშ მყოფი მოქალაქეების სესხის წნეხის შემცირებას, ვიდრე აჭარის რეგიონში, მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებას".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამავე პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ხელშეკრულებებით არ განისაზღვრა სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც ბენეფიციართა ტურიზმის სექტორში საქმიანობის ვალდებულებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, რამდენად დაეხმარა აღნიშნული თანადაფინანსების პროგრამა ბენეფიციარებს და რამდენად აგრძელებენ ისინი ტურისტულ სექტორში საქმიანობას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართავს და ამ დარგის განვითარების ხელშეწყობის ერთიან პოლიტიკას ატარებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურა – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ეს დეპარტამენტი სამ პროგრამას ახორციელებს: „ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა", „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე" და „ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება".

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2016-2019 წლებში, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 30 276 800 ლარით დაფინანსდა. დეპარტამენტის მიერ გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი – 19 953 400 ლარი დაიხარჯა პროგრამაზე – „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე".

ამ პროგრამის ფარგლებში, 2016-2019 წლებში, სხვადასხვა მარკეტინგული არხების საშუალებით, სარეკლამო კამპანიები განხორციელდა სამიზნე ქვეყნებში: აზერბაიჯანში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ბელარუსში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, ესტონეთში, თურქეთში, ისრაელში, ლატვიაში, ლიეტუვაში, პოლონეთში, რუსეთის ფედერაციაში, საუდის არაბეთში, სომხეთში, უკრაინასა და ყაზახეთში.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ოღონდ ამჯერად, შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, სარეკლამო კამპანია საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. შესაბამისად, აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი გავიდა საქართველოს კინოთეატრების დარბაზებსა და თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის ფასადის მონიტორზე. გარდა ამისა, აჭარის შესახებ, სარეკლამო-საინფორმაციო აუდიო-რეკლამა განთავსდა რადიო სადგურებში, აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონის რეკლამირება Facebook-ის ინტერნეტ პლატფორმაზე. მეტიც, განხორციელდა შიდა ტურები ქართველი ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის.

„2016-2019 წლებში, ტურიზმის მზარდ სტატისტიკაზე არსებითი გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა ინფექციამ – COVID-19, თუმცა უარყოფითად იმოქმედა 2019 წლის ივლისში, რუსეთის

დასასრული მე-8 გვერდზე

ტურიზმის განსავითარებლად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები აჭარაში

მე-7 გვერდიდან

ფედერაციის მიერ, ცალმხრივად შეწყვეტილმა პირდაპირმა საჰაერო მიმოსვლამაც. მიუხედავად იმისა, რომ 2016-2019 წლებში, მარკეტინგულ აქტივობებში, 676 564 ლარი დაიხარჯა, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან; 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა შემცირდა პოლონეთიდან და გაერთიანებული სამეფოდანაც. გარდა ამისა, თითქმის იმავე მოცულობის ხარჯების პირობებში, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, აზერბაიჯანელი ვიზიტორების რაოდენობა 0.9%-ით გაიზარდა, ხოლო ლატვიიდან – 103%-ით".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ ქვეყნებიდან, 2019 წელს, ვიზიტორების კლება-ზრდის მიზეზები, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს არ შეუსწავლია, რაც ამ პროგრამების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

აუდიტის ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, 2017 წლიდან, დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილების მოსაწყობი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მათი მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება. ეს შესყიდვა განკუთვნილია აჭარის მუნიციპალიტეტების ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, საერთაშორისო ვიზიტორებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

გარდა ამისა, არასათანადოდ დაიგეგმა დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობის სამუშაოები ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს ხიდთან და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზამლეთში. კერძოდ, სამინისტრომ ისე შეისყიდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს ხიდთან დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობის სამუშაოები, რომ არ შეისწავლა სამშენებლო ტერიტორიასთან მიმართებით ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიები საკუთრებასთან დაკავშირებით, რამაც მშენებლობის პროცესი გააჭიანურა. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების გარეშე დაგეგმვასა და განხორციელებას ადასტურებს ისიც, რომ აშენებული ფართები დღემდე უფუნქციოდაა.

„2019 წელს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს ხიდთან მდებარე მიწის ნაკვეთი – მასზე განთავსებულ დასასვენებელ-საპიკნიკე ადგილთან ერთად და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზამლეთში მდებარე მიწის ნაკვეთი – მასზე განთავსებულ დასასვენებელ-საპიკნიკე ადგილთან ერთად, საკუთრებაში გადაეცა ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტებს. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამა თავიდანვე არ ითვალისწინებდა ქონების მესამე პირებისთვის გადაცემას. ქედის მუნიციპალიტეტს უძრავი ქონება გადაეცა მოვლა-პატრონობისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტს, დამატებითი პირობების გარეშე, მხოლოდ შემდგომში განკარგვის – დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით.

ფიზიკური დათვალიერებით ირკვევა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ არ ხორციელდება ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა. შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად უფუნქციო, მიტოვებული და დაბინძურებულია. ობიექტს არ მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, ვიზიტორი ვერ სარგებლობს შექმნილი ინფრასტრუქტურით, ხოლო ქონება მოუვლელობისაგან ზიანდება და ღირებულებას კარგავს".

აუდიტის ანგარიშში საუბარია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის მოწყობის სამუშაოებზეც – ეს სამუშაოები ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2018 წელს, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შეისყიდა. საბოლოოდ კი, როგორც აუდიტი წერს, აღმოჩნდა, რომ ობიექტს არ მიეწოდებოდა წყალი და გაუმართავი იყო საკანალიზაციო სისტემა, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებისთვის არ არსებობდა საჩრდილობელი და არ იყო მოწყობილი მისასვლელი კიბე. 2020 წელს, ამ სამუშაოებში ბიუჯეტიდან დამატებით თანხა დაიხარჯა. არადა, ანგარიშში ვკითხულობთ, თავიდანვე შესაძლებელი იყო იმის გათვალისწინება, რომ დაკვირვებისთვის აუცილებელი იქნებოდა საჩრდილობლის მოწყობა, ასევე, მისასვლელად საჭირო იყო კიბე და ა.შ.

„ხელშეკრულებით, მიწოდების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბერი. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, სათანადო პროცედურების დროულად განუხორციელებლობის გამო, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 30 აპრილამდე. საბოლოოდ, პროექტი დასრულდა 2019 წლის 27 ივნისს. პროექტის დასრულების შემდეგ, შესრულებული სამუშაოს ფიზიკური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ობიექტს არ მიეწოდებოდა წყალი და გაუმართავი იყო საკანალიზაციო სისტემა, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებისთვის არ არსებობდა საჩრდილობელი და არ იყო მოწყობილი მისასვლელი კიბე.

ეს მიუთითებს, რომ პროექტის დაგეგმვის ეტაპზე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ ჰქონდა სათანადო კონსულტაცია დარგის სპეციალისტებთან: თავიდანვე შესაძლებელი იყო იმის გათვალისწინება, რომ დაკვირვებისთვის აუცილებელი იქნებოდა საჩრდილობლის მოწყობა, ასევე მისასვლელად საჭირო იყო კიბე და ა.შ. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულება იყო 151 700 ლარი, დაგეგმილ ვადებში არ განხორციელდა და ვერ შეასრულა ის ფუნქციები, რის გამოც გაწეულ იქნა საბიუჯეტო ხარჯები".

გარდა ამისა, სამინისტროს მიერ სათანადო მოვლა-პატრონობის განუხორციელებლობის გამო, დაზიანებული იყო გარე განათება და შენობის ფასადი, ასევე, ეზოს ტერიტორიაზე ღობის დაზიანების გამო აღინიშნებოდა ანტისანიტარია. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2020 წლის დასაწყისში, ელექტრონული ტენდერის გზით, დამატებით განახორციელა წყალმომარაგების, კიბისა და საჩრდილობლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულება 28 100 ლარი იყო.

„განმეორებითი შესყიდვის საჭიროება მიუთითებს, რომ ქვეპროგრამის დაგეგმვის ეტაპზე, არ იქნა შეფასებული არსებული გამოცდილება მსგავსი პროგრამების განხორციელების დროს, ასევე, ის საჭიროებები, რომლებიც აუცილებელია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებისას. შედეგად, დროულად არ განხორციელდა პროექტი, ხოლო სამუშაოების არასრულყოფილად შესრულების გამო, დაზიანდა მისი ნაწილი და თავიდან გახდა საჭირო დამატებითი სახსრების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან".

სამართალი

№33 24 აგვისტო 2022 წ

ნარკოტიკების გასაღების საიდუმლო სქემა

ბათო ჯაფარიძე

კვირას ვინ ჩივის, ლამის, დღე არ გავა, სამართალდამცავებმა ნარკოტიკების გასაღებაზე ვინმე არ დააკავონ. არცთუ იშვიათად, მასშტაბური სპეცოპერაციებიც ტარდება ნარკოდილერთა გამოსავლენად, თუ დასაკავებლად. სანამ ისტორიის თხრობაზე გადავალ, კიდევ გავიმეორებ, რომ ნარკოტიკების გასაღებისთვის უნდა იყოს პირდაპირ სამუდამო და ყველაზე ცოტა, 25 წელი, შეწყალების თხოვნის უფლების გარეშე. სხვაგვარად, მერამდენედ უნდა ვთქვათ და ვიწუწუნოთ, რომ ნარკოტიკების გამო, თაობები გველუპება?!

„დახვრეტა რომ მომისაჯოთ, არ დავასახელებ ინფორმატორს!“

ნარკოტიკები იყიდებოდა ყოველთვის, ყველა ხელისუფლების პირობებში და სამწუხაროდ, ასე იქნება მომავალშიც. იოლი შემოსავლის იმედით, დანაშაულზე არაერთი ადამიანი მიდის, მაგრამ ეჭვი მაქვს, სოლიდური სასჯელი ყველაფერ ამას საგრძნობლად შეამცირებს და „ბარიგებს“ ნარკოტიკის გაყიდვის სურვილს მოუკლავს.

„სად იყო ჩვენ დროს, ინტერნეტი და ლოკაციების მონიშვნა? ნარკოტიკს, ძირითადად, სახლებიდან ყიდდნენ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა „ბარიგები“ იმპროვიზაციას მიმართავდნენ და ასეთ დროს, მათი დაკავება რთულდებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ადამიანები გააზარმაცა, ფიქრის შესაძლებლობა მოუსპო. თუნდაც წერილი ავიღოთ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა ჩვენი თაობის ცხოვრებაში – იღებდი ფურცელს, ჯდებოდი მაგიდასთან და პრაქტიკულად, თემას წერდი ახლობლისთვის, ნათესავისთვის. შემდეგ ის ღიმილიანი სახით კითხულობდა წერილს და პასუხს გწერდა. ეს ურთიერთობას უფრო ათბობდა. ახლა კიდევ, რა წერილი, ან მესიჯს აკრეფ ტელეფონზე, ან უბრალოდ დაურეკავ და მოიკითხავ. ჰოდა, ამიტომ ვამბობ, ჩვენ დროს, კრიმინალებიც უფრო შემოქმედებითად უდგებოდნენ საქმეს და ჩახლართული გამოძიება მეტად საინტერესო პროცესი იყო, უდიდესი აზარტი და ადრენალინი ახლდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, თბილისში ახალი ნარკოტიკი გამოჩნდა. უფრო სწორედ, ნარკოტიკის ახალი პარტია, რომელიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა არა მარტო დედაქალაქში და სამართალდამცავები ვერაფერს აწყობდნენ. აგენტურული ქსელი, თითქოს, ცუდად არ მუშაობდა, ჩასაფრება მოუწყვეს, უთვალთვალეს და შეამოწმეს ადრე ნასამართლევი ყველა „ბარიგა“, მაგრამ უშედეგოდ. თბილისი ნარკოტიკებმა წაიღო, მილიცია კი კვალს ვერ პოულობდა. რა თქმა უნდა, რამდენიმე ნარკომანი დააკავეს კიდეც, რომლებიც ამბობდნენ, რომ „ბარიგა“ მათ თავად პოულობდა, სახლებში ადგებოდა, ნარკოტიკს ძალიან იაფად სთავაზობდა და თუ ვინმე ხელებს გაასავსავებდა, რა წამალი, პატიოსანი კაცი ვარო, მშვიდად ბრუნდებოდა და მიდიოდა. ყველაფერი ეს, ნარკომანებში მალე გავრცელდა და ამიტომ, დაუპატიჟებელ, მაგრამ სასურველ სტუმარს ყველა მოუთმენლად ელოდა და ყველა ყიდულობდა. ფოტორობოტის შექმნაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა, მამაკაცი ხან წვერით იყო, ხან – სათვალით, ხან – უწვეროდ და მელოტი, ხან – ქოჩრიანი, თუმცა ადვილი მისახვედრი იყო, რომ აგებულებით, საუბარი ერთსა და იმავე პიროვნებაზე მიდიოდა. რაც შეეხება ქალს... ჰო, საქმეში ქალიც ფიგურირებდა, იერს ისიც იცვლიდა, მაგრამ აგებულებას – ვერა. ყველაფერი ეს, იმდენად შემაწუხებელი და უკონტროლო გახდა, რომ მინისტრმა თათბირზე პირდაპირ თქვა – ოღონდ ეგ ბარიგები დაგვაჭერინოს ვინმემ და ვინც უნდა იყოს, ორ ან სამწლიან ხელშეუხებლობას ვპირდები, თუ უნდა, შუა რუსთაველზე გაიკეთოს ნარკოტიკიო. ეს პერსპექტივა ბევრ ნარკომანს მოეწონა და რამდენიმემ განყოფილებაში დარეკა კიდეც, თუმცა თანამშრომლები ადგილზე დროულად ვერ მივიდნენ, ნარკოდილერი უკვალოდ გაქრა. ერთ-ერთმა მისი დაკავებაც სცადა, აქაოდა, მილიციას გაკოჭილს დავახვედრებო (თანაც, „ქურდულად“, „ბარიგის“ დასმენა არ ისჯება), მაგრამ ნარკოტიკების გამყიდველმა ისე გალახა, ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა საავადმყოფომდე ცოცხალი ძლივს მიიყვანეს. სამაგიეროდ, ქალის დაკავების იმედი გაჩნდა და ნარკომანებს მიანიშნეს კიდეც, ქალი მაინც დააკავეთ, ვერ მოგერევათო, თუმცა როგორც კი ეს ერთ-ერთ ნარკომანმა სცადა, ქალმა თმიდან გრძელი ლითონის ჩხირი გამოიძრო და მისი დაკავების მსურველი, ერთი თვალის გარეშე დატოვა.

„გადავწყვიტეთ, მახე დაგვეგო, რამდენიმე ჩვენი თანამშრომელი ნარკომანების წრეში გავრიეთ, ფულებს აფრიალებდნენ და ამბობდნენ, რომ ნარკოტიკის ყიდვა სურდათ, მაგრამ ორკვირიანმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო – „ბარიგები“ არსად ჩანდნენ. ღამეები არ გვეძინა, პრაქტიკულად, ყველა განყოფილება ამ კონკრეტულ საქმეზე იყო მიმართული, მაგრამ ამაოდ. ისინი ჩნდებოდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ. რაც მთავარია, ვერ დავადგინეთ, საიდან შემოჰქონდათ ნარკოტიკი და ვინ იდგა ყველაფერ ამის უკან“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რამდენიმე დღეში, ერთ-ერთმა ნარკომანმა დარეკა, დილერი სახლში მყავს გაკოჭილიო და ოპერები ადგილზე მაშინვე გავიდნენ. მართლაც, ოთახში, რადიატორზე, ახალგაზრდა კაცი იყო მიბმული, იატაკზე კი გრაფინის ნამსხვრევები ეყარა. როგორც ჩანს, ნარკომანმა „ბარიგას“ გრაფინი გადაამტვრია, შემდეგ კი რადიატორზე მიაბა. სანამ ოპერები მას რადიატორიდან ხსნიდნენ და ხელბორკილს ადებდნენ, ნარკომანი ბოლო ხმაზე ყვიროდა, წერილობითი გარანტია მომეცით, რომ არ შემეხებითო, თუმცა მისთვის არავის ეცალა.

„მე არ ვიცნობ იმ ქალს, ვინც დადის, ჩვენ ერთმანეთთან შეხება არ გვაქვს. ერთადერთი, ჩემი მოვალეობაა, ისანში, ქიმწმენდაში მივიდე კვირაში ერთხელ, დილით პიჯაკი ჩავაბარო გასაწმენდად და საღამოს გამოვიტანო. ნარკოტიკი პიჯაკის ჯიბეში მხვდება, ფულსაც იგივე გზით ვტოვებ, რა თქმა უნდა, ჩემი მოგების გარდა. მისამართებს და სახელებს, ვის უნდა მივყიდოთ ნარკოტიკი, წერილით ვიღებთ“, – განაცხადა დაკავებულმა.

ქიმწმენდის პერსონალის პირადი საქმეები გამომძიებლებს წინ ედოთ და საეჭვო არავინ ჩანდა, გარდა ერთი ქალისა, რომელმაც იქ მუშაობა არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო. ამიტომ, თვალთვალი, სწორედ მასზე უნდა დაეწესებინათ, მაგრამ რა თვალთვალი, ის სამსახურიდან გათავისუფლდა და არც საცხოვრებელ ბინაზე გამოჩენილა ანუ უბრალოდ გაქრა. სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ნარკოტიკების გამსაღებლებს სერიოზული ინფორმატორი ჰყავდათ, სწორედ ინფორმატორი აწვდიდა ნარკომანების სიას და აფრთხილებდა საფრთხის შესახებ. სამაგიეროდ, ქიმწმენდის პერსონალის დაკითხვის შემდეგ, გაირკვა იმ ქალის ვინაობა, ვინც ასევე მამაკაცის პიჯაკს აბარებდა და ყველაფერ ამას, სწორედ იმ საეჭვო ქალის მორიგეობის დროს აკეთებდა. მის მისამართზე ოპერატიული ჯგუფი გავიდა და დროზე მიასწრო – მას უცხო მამაკაცი და ქალი მოკვლას უპირებდა. ძალოვნებმა სამეული დააკავეს და ცხადი იყო, წრე შეიკრა, ყველა დაჭერილი იყო.

„დახვრეტა რომ მომისაჯოთ, მე არ დავასახელებ ინფორმატორს, რადგან არ მაცოცხლებს. რაც შეეხება წამალს, რა მნიშვნელობა აქვს, საიდან შემომქონდა?! სქემა იცით და რომ არა ის იდიოტი, რომელიც ჩავარდა, კარგა ხანს, ვერ დაგვიჭერდით. ეს სქემა მე და ინფორმატორმა ერთად მოვიფიქრეთ, ამართლებდა, მაგრამ... წასვლას ვაპირებდი, თუმცა მეუბნებოდა, ყველაფერი ხელში მიჭირავს, საფრთხე არ გემუქრებაო. არ უნდა დამეჯერებინა, მაგრამ რაღა დროს“, – თავი ჩაღუნა დაკავებულმა.

იმის მიუხედავად, რომ მინისტრის დონეზე მისცეს უსაფრთხოების გარანტიები, ინფორმატორი ანუ ვირთხა სამართლდამცავ უწყებაში არ დაასახელა. ქალმა კი არც არაფერი იცოდა, ის აკეთებდა იმას, რასაც ეუბნებოდნენ და სოლიდურ თანხასაც უხდიდნენ.

„ასე ხდებოდა ხოლმე, ჩვენს უწყებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც დამნაშავეებთან თანამშრომლობდნენ ფულის მიღების მიზნით და თუ გამოვავლენდით, უმკაცრესად ვსჯიდით. დღემდე ხინჯად მაქვს, რომ ვერ გავიგეთ, ვერ გამოვავლინეთ კაცი, რომელიც ამ დონეზე აწვდიდა ინფორმაციას ანუ ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო. იმედი მქონდა, ზონაზე მაინც წამოსცდებოდა ვინმესთან რამე, მაგრამ ზონა კი არა, სასამართლომდეც არ მისულა, საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს“, – სინანულით ამბობს ბატონი თენგიზი.

რაც შეეხება ნარკომანს, რომლისთვისაც ხელშეუხებლობის გარანტია უნდა მიეცათ, მისცეს კიდეც, მაგრამ სულ ტყუილად – სავარაუდოდ, ამ ამბით გახარებულმა ბევრი მოინდომა და ორ თვეში, ზედოზირებით გარდაცვლილი საკუთარ სახლში ნახეს. ჰო, იმასაც ამბობდნენ, გამოცდილი ნარკომანი იყო და ზედმეტ დოზას არ გაიკეთებდაო, მაგრამ... ვინ იცის...

რატომ გაწირა მეგობარმა მეგობარი სასიკვდილოდ

„ოდნოკლასნიკებით“ გახსნილი საშინელი დანაშაული

ბათო ჯაფარიძე

ყოველთვის ასე იყო – შეძლებული მამების შვილების უმრავლესობა ძირითად დროს მშობლის მიერ ნაშოვნი ფულის ხარჯვაში ატარებს. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ფლანგვაში, რადგან შინაარსიანად ეს ფული ნაკლებად იხარჯება. თუ კომუნისტების დროს, ფულის გამოჩენას კანონის შიშით ერიდებოდნენ, მოგვიანებით, ეს შიში კრიმინალების მიმართ შიშით შეიცვალა, ახლა კი არავის არაფრის ეშინია და შეუძლია, თავზე დაიმხოს ღამის კლუბი თუ რესტორანი, რასაც არცთუ იშვიათად აკეთებენ კიდეც. კომუნისტების დროს, ასეთ ახალგაზრდებს „ოქროს თაობას“ ეძახდნენ და სჯეროდათ, რომ შვილები მამის კვალს გაჰყვებოდნენ და ბევრად წარმატებულები გახდებოდნენ. შემდეგ ეს თაობა „მამიკოს ბიჭებად“ მოინათლნენ, ახლა კი... ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს – არის ნაწილი, რომელიც მთლიანად ოჯახის მიერ ნაშოვნი ფულით ცხოვრობს და არაფერს აკეთებს, მეორე ნაწილი კი ცდილობს, მშობლებს გვერდში დაუდგეს და საქმიანობაში რაღაც წვლილი თავადაც შეიტანოს.

„სოციალური ქსელების დიდი მომხმარებელი არც ახლა ვარ, თავიდან კი საერთოდ, მათი არსებობის შესახებ არ ვიცოდი და ძველი თაობა სერიოზულად არც აღიქვამდა. ეს ახლაა, სოცქსელებით დანაშაულის გახსნაც რომ არის შესაძლებელი, მე კი „ოდნოკლასნიკები“ რომ მიხსენეს, მაშინვე ჩემი თანაკლასელები გამახსენდა, მაგრამ თურმე, სოციალური ქსელი ყოფილა და მაშინ „ფეისბუქი“ ასე პოპულარული არ იყო თუ საერთოდ არ იყო, არ მახსოვს. „ოდნოკლასნიკები“ კი საქმეში, რომელიც პირადად მინისტრის მოადგილის ბრძანებით ჩამაბარეს, ერთ-ერთი საკვანძო სიტყვა გახდა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქმე, ერთი შეხედვით, მარტივი იყო – „მამიკოს ბიჭები“ ქალაქგარეთ შეიკრიბნენ მორიგი ღრეობისთვის და თან ორ მათგანს ახალი მანქანა ჰყავდა მიყვანილი. ამ დროს სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა, იქიდან ათამდე ნიღბიანი გადმოვიდა ხელკეტებით და სანამ ბიჭები აზრზე მოვიდოდნენ, ყველა მათგანი დაბლა ეყარა – თავდამსხმელები ყველას გამეტებით სცემდნენ. შემდეგ, ნიღბიანები ისევ სამარშრუტო ტაქსიში ჩასხდნენ და იქაურობას გაეცალნენ. ვერავინ შეძლო ვერც თავდამსხმელთა მანქანის ნომრის დანახვა და, რაღა თქმა უნდა, არ დაუნახავთ სახეც. შესაძლოა, ამის გამო, არც არავის ეჩივლა, მაგრამ თავდასხმის დროს, ერთ-ერთი ბიჭი ისე დაშავდა,რომ კომაში მყოფი, მართვით სუნთქვაზე იყო. არადა, მისი იქ ნახვა ბევრს გაუკვირდა, არ იყო მამამისი დიდი გაქანების არც ბიზნესმენი და არც – მაღალჩინოსანი. რაც მთავარია, ამ ბიჭს ყველა დადებითად ახასიათებდა და ყველაზე მეტი სწორედ მას მოხვდა. მამებმა იმდენი მოახერხეს, რომ საქმე მინისტრის მოადგილემ აიყვანა კონტროლზე და მანაც გამოძიება ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ მაძებარს დაავალა.

„როგორც გავიგე, „ოდნოკლასნიკებში“ ვიღაცამ დადო ფოტოები, სადაც ეს ბიჭები სხვებს სცემდნენ და გაირკვა, რომ ნაცემებიდან ერთ-ერთი, ტვინის შერყევით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ცემის მიზეზი კი არ არსებობდა, ისინი, უბრალოდ, გაერთნენ და ამიტომაც, სწორედ იმ „ოდნოკლასნიკების“ წყალობით, ვიღაცამ დაგეგმა თავდასხმა, აქაოდა, მოდით, ჭკუა ვასწავლოთ და ვისაც სურვილი ექნება, ავტომობილი ამა და ამ ადგილიდან გავაო. ჰოდა, შეიკრიბნენ ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანები, მუქარა შეასრულეს და ახლა მე უნდა მეძებნა თივის ზვინში ნემსი, მით უმეტეს, ამ სოციალური ქსელის არაფერი გამეგებოდა და ძირითადად ჩემი შვილი მეუბნებოდა, იქ რა და როგორ ხდებოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ძაფის ბოლო მაინც გამოჩნდა – ერთ-ერთს ეწერა, აუცილებლად მოვალ, მაგ ბიჭებთან ჩემი ანგარიშები მაქვსო და სამართალდამცავებმაც მისი ვინაობა მარტივად გაარკვიეს, ერთ საათში კი ის უკვე ჩვენებას აძლევდა.

„მაგ არაკაცებიდან ერთ-ერთმა, ორი თვის წინ, ჩემი მეგობარი მოკლა. მანქანით დაეჯახა, მერე კი უკუსვლთ წამოვიდა და მეორედ გადაუარა. ამის თვითმხილველი ათამდე ადამიანი იყო, მაგრამ, რა? არავინ დაიჭირეს, მამიკოს ფულების წყალობით, ციხეში არ წავიდა, საქმე ჯერ არ დაუხურავთ, მაგრამ მოწმე ჰყავთ, რომელიც ამბობს, რომ ავარიის დროს, მანქანის მეპატრონე, თურმე, მასთან ერთად იყო. ცემა რომ ვაკმარეთ, მადლობა თქვან“, – განაცხადა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, დანარჩენებზე კი ინფორმაცია არ ჰქონდა და ეს ლოგიკურიც იყო – ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანები შეიკრიბნენ, ნიღბები გაიკეთეს, სცემეს და დაიშალნენ, თუმცა როგორც დაკავებული ამბობდა, ყველაფერ ამას, ვიღაც ხელმძღვანელობდა, რომელმაც ცემა დაგეგმა, ნიღბები და ხელკეტები მიიტანა ადგილზე, მანქანა იშოვა და რაც მთავარია, საიდანღაც გაიგო, როდის და სად იკრიბებოდნენ ბიჭები.

რაღა თქმა უნდა, გამომძიებელი იმ საქმითაც დაინტერესდა, რომელიც დაკავებულმა ახსენა. მართლაც, ათამდე ადამიანი იყო მოწმე, როგორ დაეჯახა ახალგაზრდა კაცს ავტომობილი, შემდეგ უკუსვლით ჯერ კიდევ ცოცხალს როგორ გადაუარა, მოკლა და ადგილიდან მიიმალა. მანქანის მეპატრონე მეორე დღეს დააკავეს, მაგრამ მალევე გაუშვეს, რადგან გამოჩნდა მოწმე, რომელიც ამბობდა, იმ დროს ერთად ვიყავით და თან ისეთი ნასვამი იყო, მანქანის მართვის კი არა, სიარულის თავი არ ჰქონდაო. მოწმედ კი... ის ბიჭი გადიოდა, რომელსაც ყველაზე მეტი მოხვდა და ახლა სიკვდილს ებრძოდა. ისე გამოდიოდა, რომ ვიღაცას ყველაფერი ეს, სწორედ ოქროს მოწმის მოსაშორებლად სჭირდებოდა.

„დაშავებული ბიჭის მშობლების დასაკითხად წავედი, მაინტერესებდა, ხომ არ იყო რამე მუქარა მათი შვილის მისამართით. მათ ასეთი ფაქტი ვერ გაიხსენეს, თუმცა დედამისმა დაადასტურა, რომ იმ დღეს, როცა ავარია მოხდა, მის შვილს რამდენჯერმე ესაუბრა და მან უთხრა, მეგობართან ვარ, ძალიან ნასვამია და მარტო ვერ ვტოვებო. ქალი ირწმუნებოდა, ჩემი შვილი არ მომატყუებდა და არც მოწმედ გავიდოდა, ზუსტად რომ არ სცოდნოდა სიმართლეო. გამოდიოდა, რომ ვიღაცას ძალიან სურდა, ავარია ავტომობილის მეპატრონესთვის შეეტენა და რაც მთავარია, იმ ვიღაცას ძალიან უნდოდა, მოეკლა ის ბიჭი, რომელიც მოკლა კიდეც. ამიტომ, ავარიაში გარდაცვლილის გარემოცვის შესწავლა დავიწყე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, გარდაცვლილი დამწყები ბიზნესმენი და ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო. მან მცირე საწარმო გახსნა და მალე დიდ მასშტაბებზე გავიდა. საქმეში ბავშვობის მეგობარი ჰყავდა, რომელმაც გამომძიებლებთან ცრემლები გადმოყარა, მისი სიკვდილის შემდეგ, საქმე უკან მიდის, საწარმო უნდა გავყიდო, მარტო ვეღარ ვხელმძღვანელობ და სანამ ფასი აქვს, უნდა მოვიშოროო.

„ჩემი შვილი ავარიის დროს საჭესთან არ მჯდარა და ამას ორი რამით ვამტკიცებ. პირველი ის, რომ მოწმე გვყავს და იმ მოწმეს შემდეგ ფულიც შევთავაზე მადლობის ნიშნად, მაგრამ არ გამომართვა, სიმართლეს ვამბობო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გულწრფელია და მეორეც, როცა ავარიის შემდეგ ექსპერტებმა მანქანა შეამოწმეს, მძღოლის სახელურზე, გასაღებსა და საჭეზე ერთი ანაბეჭდიც ვერ იპოვეს ანუ ისინი ვიღაცამ გაწმინდა. როგორ გგონიათ, ჩემი შვილი ამას იზამდა? საკუთარი მანქანის წმენდას დაიწყებდა? მას რომ ავარია გაეკეთებინა, მოვიდოდა, მუხლებში ჩამივარდებოდა და შველას მთხოვდა, მან კი ასეთი არაფერი გააკეთა. დამიჯერეთ, ჩემს შვილს ვიცნობ და ავარიის დროს, ის საჭესთან არ ყოფილა“, – ეს განცხადება ავარიაში ეჭვმიტანილის მამას ეკუთვნის.

გამომძიებელმა ექსპერტიც დაკითხა და დაადასტურა, რომ საჭე, გასაღები და მძღოლის მხრიდან კარის სახელური, მართლაც, საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი. ამასთან, ყველა მოწმე, რომელმაც დაინახა ავტომობილი, ამბობდა, რომ არ დაუნახავთ მძღოლის სახე, რადგან მას სათვალე ეკეთა და ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატებული.

„სხვა გზა არ იყო – ყველა ფიგურანტის ფოტოები მოვაგროვე და იმ თავდამსხმელს ვაჩვენე, რომელიც დაკავებული გვყავდა. მან ყველა ფოტო ყურადღებით დაათვალიერა და ხელი ავარიაში გარდაცვლილის მეგობარს დაადო, ორგანიზატორი ეს იყოო. მალევე გავარკვიეთ, რომ ეს პიროვნება „მამიკოს ბიჭებს“ იცნობდა, რამდენიმესთან მეგობრობდა და იმ დღის შეკრების ადგილიც ზუსტად იცოდა. მისი სამიზნე ოქროს მოწმე იყო, რათა ძიება შორს არ წასულიყო და სასამართლოზე დაცვის მხარეს არაფერი ჰქონოდა. რაღა თქმა უნდა, ეჭვმიტანილი დავაკავეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მართალია, თავიდან დაკავებული გაჯიუტდა, მეგობარს როგორ მოვკლავდიო, მაგრამ მერე დაიწყო: „ფირმა ერთად გავაკეთეთ, კარგადაც მოვქოქეთ და კლიენტიც გამოგვიჩნდა, 100 ათასს გვიხდიდა. ეს დიდი ფულია, ამიტომ გაყიდვა მინდოდა, მაგრამ მეგობარმა არ დამანება, ერთ-ორ წელიწადში, ნახევარი მილიონი ეღირებაო. არ შემეძლო ერთი-ორი წელი ცდა, როცა რეალურ ფულს გვთავაზობდნენ და ამიტომ, მისი მოშორება გადავწყვიტე. ვიცოდი, რომ შესაბამისი მანქანის შოვნა არ გამიჭირდებოდა, ამ ბიჭს ვიცნობ და როცა თვრება, გასაღებს მუდმივად მანქანაში ტოვებს. ვუთვალთვალებდი, როცა მანქანა მიატოვა, მეგობარს დავურეკე, ამა და ამ ადგილზე შემხვდი-თქო და დაველოდე, როცა გზაზე გადადიოდა, დავეჯახე და შემდეგ, რომ დავრწმუნებულიყავი, მეორედ გადავუარე“...

ბათო ჯაფარიძე

როგორც წესი, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში, უფრო მეტ დანაშაულს მამაკაცები სჩადიან, ვიდრე ქალები, მაგრამ თუ ქალი საქმეშია, მაშინ დანაშაულიც უფრო დახვეწილი გამოდის. ერთი ეგაა, ქალების გამოტეხვა უფრო ადვილია, მაგრამ თუ ქალმა მოინდომა, კრინტს არ დაძრავს და არაერთ მამაკაცს თავის ჭკუაზე გაატარებს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, მთავარ გმირად, სწორედ ქალი ჰყავს, ქალი, რომელიც დღეს ბელორუსში ცხოვრობს და იქაურ კრიმინალურ სამყაროში ხმამაღალი სიტყვაც ეთქმის. ყველაფერი კი, თითქოს, ბანალურად დაიწყო.

კრიმინალი ქალის დოსიე



როგორ გაიხსნა საიუველირო მაღაზიის ძარცვის საქმე

„განყოფილებაში შეტყობინება მოვიდა, ერთ-ერთ ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა, მოკლეს დიასახლისი, ხოლო ოჯახის უფროსი, სასტიკად ნაცემი და დაჭრილი, სისხლისგან იცლებოდა. ადგილზე ოპერჯგუფი მალე გავიდა და რა თქმა უნდა, მეც ექსპერტებთან ერთად წავყევი. რით იყო მკვდარი ქალი, მკითხაობა არ სჭირდებოდა, კისრის არეში, ნაკვერჩხლის საჩხრეკი რკინა ჰქონდა გაყრილი. ქალს ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა, სავარაუდოდ, დარეკვას და მძარცველისგან ან მძარცველებისგან გაქცევას ცდილობდა. იმის მიუხედავად, რომ საცხოვრებელი მდიდრულად იყო მორთულ-მოკაზმული, სახლიდან არაფერი იყო წაღებული, სავარაუდოდ, მძარცველები შეშინდნენ და გაიქცნენ. ერთადერთი შვება ის გახლდათ, რომ ოჯახის უფროსი გადარჩა და ექიმები ამბობდნენ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ორ დღეში, დაკითხვასაც შეძლებთო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სანამ დაზარალებულს დაკითხავდნენ, სამართალდამცავებმა სავარაუდო დამნაშავეების ძებნა დაიწყეს, თუმცა საქმის ცხელ კვალზე გახსნა არ გამოვიდა. სამაგიეროდ, ის გაარკვიეს, რომ ოჯახის უფროსი წარსულში ერთ-ერთ საქმეში მოწმედ გადიოდა – ის საიუველირო მაღაზიის დაცვაში მუშაობდა. როცა მაღაზიის გაძარცვა სცადეს, მან მძარცველს წინააღმდეგობა გაუწია, განგაშის ღილაკსაც დააჭირა და მაშინ მძარცველი მალევე დააკავეს, თუმცა არავინ იცის, სად წაიღო ოქროულობა, რადგან მოპარული ნივთები ვერ აღმოუჩინეს. ამის შემდეგ, დაცვის თანამშრომელმა გვარი და საცხოვრებელი შეიცვალა, შემდეგ ცოლად მდიდარი, დედისერთა ქალი შეირთო და ბედნიერადაც ცხოვრობდა. ძალოვნებმა ისიც გაარკვიეს, რომ მაშინ დაკავებული მძარცველი ციხიდან სამი დღის გამოსული გახლდათ. მის დასაკითხად ორი ოპერი წავიდა, თუმცა ამაოდ – სავარაუდო ეჭვმიტანილი შინ არ დახვდათ, მეზობელმა კი თქვა, სახლში რომ დაბრუნდა, ხელები სისხლიანი ჰქონდა, მერე მალევე წავიდა და აღარ მინახავსო. მოწმეების თანდასწრებით, მისი ბინა გახსნეს და სისხლიანი ნაჭრები ექსპერტიზაზე გაგზავნეს. ექსპერტიზის დასკვნამ საქმე პრაქტიკულად გახსნა – სისხლი დაყაჩაღებული ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა. გაქცეულზე ძებნა გამოცხადდა, გამომძიებელი კი დაზარალებულთან დასაკითხად პალატაში შევიდა.

„ვიღაცამ დააკაკუნა, კარი გავაღე და სახეში მუშტი მომხვდა. ცემა დამიწყეს, ფულს და ძვირფასეულობას მთხოვდნენ. ამ დროს, შინ ცოლი დაბრუნდა, ნახა, რაც ხდებოდა და გაქცევა დაიპირა. დავინახე, როგორ დაეწია მას მძარცველი და ბუხრის საჩხრეკი პირდაპირ კისერში შეარჭო, მერე გონება დავკარგე და აზრზე საავადმყოფოში მოვედი. მძარცველს ნიღაბი არ ეკეთა, მაგრამ ვერ ვიცანი“, – განაცხადა დაჭრილმა.

გამომძიებელს მის ჩვენებაში ორი რამ არ მოეწონა – აშკარად დამალა, რომ თავდამსხმელი სწორედ ის პირი იყო, ვინც თავის დროზე, საიუველირო მაღაზია დააყაჩაღა და მეორე – თუ ქალი ოთახიდან გარბოდა და თავდამსხმელმა რკინა კისერში შეარჭო, წესით, ქალი თავით გასასვლელის მხარეს უნდა ყოფილიყო. გამომძიებელს ძალიან კარგად ახსოვდა, რომ მკვლელობის შემდეგ, ქალის სხეული გადაადგილებული არ იყო ანუ ის როგორც მოკვდა, ისევე დარჩა ადგილზე. რეალურად კი, ქალს თავი ოთახის მხარეს ჰქონდა, ფეხები – გასასვლელისკენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოთახიდან კი არ გარბოდა, არამედ ოთახში შემორბოდა. მაშინ, რა უნდოდა მის ზურგსუკან თავდამსხმელს? გამომძიებელს არაფერი უთქვამს, პალატასთან დაცვა გააძლიერა და გაქცეულის ძებნა დაიწყო, ბოლომდე სიმართლე მას ეცოდინებოდა.

შესაბამისი ცნობების მოგროვების შემდეგ, გაირკვა, რომ სავარაუდო ეჭვმიტანილი ციხიდან მხოლოდ ერთ ნომერზე რეკავდა, ამ ნომრის მფლობელი ურიცხავდა მას ფულს და დადიოდა პაემნებზე. ნომერი ახალგაზრდა ქალს ეკუთვნოდა და როგორც მისი, ისე ეჭვმიტანილის მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ წლების განმავლობაში, ისინი ერთად ცხოვრობდნენ, თუმცა ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. ძებნა ქალზეც გამოცხადდა და ისიც გაირკვა, რომ მისი მეგობრის დაკავების შემდეგ, ქალმა თბილისში, პრესტიჟულ უბანში ბინა გაყიდა, გარეუბანში იყიდა და თბილისთან ახლოს, მიტოვებული ქოხიც შეიძინა. გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლებელია, ისინი სწორედ ამ ქოხში ყოფილიყვნენ და გავიდნენ კიდეც დასაკავებლად, თუმცა იქ არავინ დახვდათ.

სამაგიროდ, მეზობელმა უთხრა, ქალი და კაცი ნამდვილად მოვიდნენ, ცოტა ხნით გაჩერდნენ და შემდეგ გეზი მთისკენ აიღესო. რუკაზე არაფერი ჩანდა ისეთი, სადაც თავის გატანა შეიძლებოდა, მაგრამ ოცამდე სამართალდამცავმა ტერიტორიის ფეხით დათვალიერება მაინც გადაწყვიტა და არცთუ უშედეგოდ – წყვილი შენიშნეს, მოფარებულ ადგილას კარავი ჰქონდათ გაშლილი და მზეს ეფიცხებოდნენ. იქვე სანადირო თოფი იყო მიყუდებული და მამაკაცი იარაღთან იმდენად ახლოს იწვა, ძალოვნების გამოჩენისთანავე, მის აღებასა და სროლას აუცილებლად მოასწრებდა. ამიტომ, გადაწყდა, რომ დაღამებას დალოდებოდნენ.

„ადგილზე მეც ჩავედი და ღამის ხედვის ჭოგრიტით ვაკვირდებოდი, რა მოხდებოდა. კაცი კარავში შევიდა, ქალმა კი ჩემთვის მოულოდნელად, თოფი აიღო, ჩახმახი გადასწია და მშვიდად დაელოდა, როდის გამოვიდოდა კარვიდან მამაკაცი. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ოპერაციის დაწყების ბრძანება გავეცი, მაგრამ სანამ ადგილამდე მივედით, ქალმა გასროლა მოასწრო, მამაკაცმა – გვერდით გახტომა და მკერდში დამიზნებული ტყვია ხელში მოხვდა. რამდენიმე წამში, ორივე მიწაზე ეყარა და ხელბორკილი ედო. ახლაც არ დამავიწყდება მამაკაცის გაოცებული სახე, რომელიც ჯიუტად იმეორებდა – რატომ? რატომ? რატომ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დასაკითხად პირველად ქალი გამოიყვანეს, რადგან ეგონათ, რომ მას უფრო იოლად გატეხდნენ.

„ვაღიარებ, რომ ეს კაცი მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ციხიდან რომ გამოვიდა, ვუთხარი, პატარა ქოხი მაქვს, იქ გადავიდეთ, მშვიდად ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ გადაირია, არა, ვინც ციხეში გამიშვა, იმას ფული უნდა მოვატანინო, რადგან ვალი აქვსო. ვუშლიდი, არ დაიშალა და როცა მის სანახავად წავიდა, უჩუმრად უკან გავყევი. დავინახე, როგორ სცემა კაცი, მერე დავინახე, როგორ გაეკიდა ქალს და როგორ მოკლა. შინ დაბრუნებულმა მიბრძანა, ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეო. შემეშინდა და გავყევი, მაგრამ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, მეც მომკლავდა, ამიტომ გადავწყვიტე, დამესწრო“, – ცრემლებს აღვარღვარებდა ქალი.

როცა დაკავებულ მამაკაცს მისი მეგობრის ჩვენება წაუკითხეს, გაოცებისგან პირი დააღო, თავი გადააქნია და დაიწყო:

„წლების წინ, ის საიუველირო მარტოს არ გამიძარცვავს, „პადელნიკად“, სწორედ დაცვის თანამშრომელი მყავდა. საიუველიროს თანამშრომლები გავთიშეთ, მერე ამას რამდენჯერმე წამოვარტყი, ოქროული მის ჩანთაში დავმალე და იქვე დავტოვე, თუ დამიჭერდნენ, ფაქტი რომ მაინც ვერ ენახათ. აკი, დამიჭირეს კიდეც, ოქრო ვერ იპოვეს და ციხეში იმის იმედად ვიყავი, რომ გამოსვლისას, წილი დამხვდებოდა. გამოვედი და საყვარელი ქალი მეუბნება, ცუდად ვარ, მკურნალობა მჭირდება, ბინა მაგიტომ გავყიდე, ის შენი „პადელნიკი“ კი არაფერს მაძლევს, მთელი ოქრო მიითვისაო. ურთერთობის გასარკვევად წავედი, კი, ვცემე, მაგრამ როცა მისი ცოლი შემოვიდა და კივილი ატეხა, უბრალოდ, ავდექი და წამოვედი, მე არავინ მომიკლავს“...

გამომძიებელმა „პადელნიკის“ დაკავების ბრძანება გასცა და ის ქალთან დააპირისპირა. ცოტა ხანში, წყვილი მიხვდა, რომ იოლად ვერ გამოძვრებოდნენ და ყველაფერი ერთმანეთს გადააბრალეს. ყველაფერი კი ძალიან მარტივად იყო – ისინი საყვარლები გახლდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, ერთი დიდი აფერა გაეთამაშებინათ. ქალმა „საქმრო“ გააქეზა და საიუველირო გააძარცვინა, მერე პოლიციაში დარეკა და დააჭერინა. ამის შემდეგ, დაცვამ, რომელიც საქმიდან მშრალად გამოვიდა, სარფიანად იქორწინა (ესეც გეგმის ნაწილი იყო) და დაელოდნენ, როდის გამოვიდოდა ციხიდან კაცი, რომლისთვისაც ყველაფერი უნდა „შეეტენათ“. ძიების პროცესში, ისიც გაირკვა, რომ კონკრეტული ადამიანების მოქრთამვის შემდეგ, მას ვადამდე ადრე გათავისუფლება შეეხო (ქრთამის მიმღებებიც დააკავეს), შემდეგ კი უკვე, ქალმა მოუყვა ის, რამაც კაცი ააგდო და ძველ „პადელნიკთან“ საქმის გასარჩევად წაიყვანა. გეგმამ ბოლომდე არ გაამართლა, აყვირებული ცოლის გაჩუმება გამოცდილმა კრიმინალმა არ ისურვა და ბინიდან წავიდა. ამის შემდეგ, ქალი თავად ქმარმა მოკლა და სწორედ ამიტომ იწვა ის ოთახისკენ თავით და არა გასასვლელისკენ, შემდეგი გეგმა კი კაცის მოშორება და მთაში დამარხვა იყო. სამართალდამცავები იფიქრებდნენ, რომ ის მიიმალა და ვერასდროს იპოვნიდნენ, ხოლო დაყაჩაღება-მკვლელობით, საბოლოოდ, მას შეეტენებოდა.

„იდეურ“ წყვილს სასამართლომ სასჯელი არ დაამადლა – კაცს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ქალს – 9 წელი მისცეს. ციხიდან ახლად გათავისუფლებული კი, რეალურად, მხოლოდ ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლეს და 3 წელი პირობითი სასჯელი აკმარეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრს, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები ეწვივნენ.

შეხვედრის ფარგლებში, მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა, მიხეილ ჩიკვაიძემ და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჯაყელმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ცენტრში განთავსებული სრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებლებისთვის ქართული ენის სწავლებას ითვალისწინებს. მემორანდუმი სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გაფორმდა.

სტუმრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, რომელიც სოფელ მარტყოფში მდებარეობს, არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, ასევე, ცენტრის საქმიანობის სპეციფიკას და სერვისებს გაეცნენ.

ცენტრი აშენდა და ფუნქციონირებს ევროკავშირის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის (EUCOM) მხარდაჭერით.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კელი დეგნანი ესტუმრა. ელჩს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, დავით თამაზაშვილმა მოადგილეებთან ერთად უმასპინძლა.

გაცნობითი შეხვედრის ფარგლებში, დავით თამაზაშვილმა სტუმრებს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მხარეებმა დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებაზე ისაუბრეს.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს მჭიდრო თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

შეხვედრას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში 145 სხვადასხვა ვაკანსიის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა თბილისსა და რეგიონებში, 145 სხვადასხვა ვაკანსიის დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადა.

დაინტერესებულ პირებს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიღება და აპლიკაციის შევსება შეუძლიათ მიმდინარე წლის 28 აგვისტოს ჩათვლით, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://hr.police.ge

კონკურსი გამოცხადდა პატრულ-ინსპექტორის 47 ვაკანტურ თანამდებობაზე, პატრულ-ინსპექტორის (მესაზღვრე კონტროლიორი) 38 ვაკანტურ თანამდებობაზე და მესაზღვრე-კონტროლიორის ფუნქცია–მოვალეობის შემსრულებლის (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) 60 პოზიციაზე.

პატრულ-ინსპექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე:

- **ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 22 ვაკანსია;**
- **მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 2 ვაკანსია;**
- **ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 3 ვაკანსია;**
- **სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 4 ვაკანსია;**
- **კახეთის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 1 ვაკანსია;**
- **იმერეთის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 3 ვაკანსია;**
- **სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 5 ვაკანსია;**
- **გურიის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 2 ვაკანსია;**
- **აჭარის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორი – 5 ვაკანსია.**

პატრულ-ინსპექტორის (მესაზღვრე-კონტროლიორი) ვაკანტურ თანამდებობაზე:

- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სამსახური – 35 ვაკანსია;**
- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება (დარიალი) – 2 ვაკანსია;**
- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამსახურის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება (სამება) – 1 ვაკანსია.**

მესაზღვრე-კონტროლიორის ფუნქცია–მოვალეობის შემსრულებლის (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) პოზიციაზე:

- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამსახური (ქუთაისის აეროპორტი) – 20 პოზიცია;**
- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება (დარიალი) – 8 პოზიცია;**
- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამსახური = 20 პოზიცია;**
- **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს სამსახური – 12 პოზიცია.**

ვახტანგ გომელაურმა სომეხ კოლეგას სავაჭრო ცენტრ „სურმალუში“ მომხდარი ტრაგედიის გამო მიუსამძიმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა მიმდინარე წლის 14 აგვისტოს, ერევანში მომხდარი ტრაგედიის გამო, სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, პოლიციის გენერალ-მაიორ ვაჰე ღაზარიანს, სამინისტროს სახელით, სამძიმრის წერილი გაუგზავნა, სადაც სავაჭრო ცენტრ „სურმალუში“ მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა გამო მწუხარება გამოთქვა.

ვახტანგ გომელაურმა სომეხ კოლეგას თანადგომა გამოუცხადა, ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა და დაზარალებულ მოქალაქეებს სწრაფად გამოჯანმრთელება უსურვა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით, მსურს, გამოვხატო ღრმა მწუხარება 14 აგვისტოს, ერევანში, სავაჭრო ცენტრ „სურმალუში“ მომხდარ ძლიერ აფეთქებასთან დაკავშირებით.

ნება მომეცით, ამ მწუხარების ჟამს, მოგმართოთ თქვენ და სომეხ ხალხს, რათა გამოვხატო თქვენდამი უდიდესი პატივისცემა და თანადგომა. მინდა, ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს მივუსამძიმრო და დაზარალებულ მოქალაქეებს სწრაფად გამოჯანმრთელება ვუსურვო“, – წერს ვახტანგ გომელაური.

კვარაცხელია იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა

ნეაპოლში, დიეგო მარადონას სახელობის სტადიონზე, ხვიჩა კვარაცხელიას დებიუტი შედგა. „კვარადონას“ ადგილობრივი პუბლიკა თბილად შეხვდა და მისგან სასწაულს ელოდა. ქართველმა ლეგიონერმა კი ისეთი სასწაული მოახდინა, რომ მატჩის შემდგომ, იტალიური პრესა საქებარ სიტყვებს არ იშურებდა.

„ლა გაზეტა დელო სპორტ“-ი: „კვარაცხელიას შოუ! ქართველი ლეგიონერი სეზონის საწყის ორივე ტურში ძალიან შთამბეჭდავი იყო, ხოლო მისი გუნდი თამაშობდა ძალიან ლამაზ ფეხბურთს. კვარაცხელიას სტარტი წარმოუდგენელია, ის სრულყოფილი ფეხბურთელია. ორ ტურში მან სამი გოლი გაიტანა და აქედან ერთი – თავით, მეორე – მარცხენა ფეხით, მესამე – მარჯვენათი. ნეაპოლელებმა ჯადოქარი იყიდეს“.

„კორიერე დელო სპორტ“-ი: „კვარაცხელიამ „მონცასთან“ მატჩში, პირველი გოლისას, ნამდვილი შედევრი შექმნა, მეორე გოლის დროს კი საოცარი დრიბლინგი გვიჩვენა. ორი ტურის შემდეგ, ყველა მიხვდა და ყველამ გაიაზრა, რომ „ნაპოლიში“ ფენომენი გადაბარგდა. მას ყველა თვისება აქვს, უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გახდეს!“

ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო, ნამატჩევს, ნეაპოლელთა თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ თქვა:

„ჩვენ ჯერ არ გვინახავს მისი რეალური ძალა. დამიჯერეთ, რომ ის ჯერ მხოლოდ იწყებს, ასე ვთქვათ, ხურდება და მერე ნახავთ, რა შეუძლია. ნელ-ნელა, მეტად თავდაჯერებული გახდება, ნაკლებს ინერვიულებს და ყველაფერი ეს, მის თამაშზე დადებითად აისახება“, – განაცხადა მან.

აბა, როგორ არ შეგახსენოთ, რომ კვარაცხელია „ნაპოლიში“ ბათუმის „დინამოდან“ 10 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და უკვე აღარავინ მალავს, რომ ეს ბიჭი დღეს, ყველაზე ცოტა, სამჯერ ძვირი ღირს. თუ ასე გაგრძელდება, სეზონის ბოლოს, გრანდების მთავარი სამიზნე, სწორედ კვარაცხელია იქნება და არც ის გაგვიკვირდება, თუ მის სანაცვლოდ, ცხრანიშნა თანხას ჩამოვლენ. ჰო, კვარაცხელიას თამაშს საკუთარ გვერდზე მარადონას შვილიც გამოეხმაურა და ჩვენებურის ფოტო აღფრთოვანებული კომენტარით გააზიარა, თუმცა ყველაზე ორიგინალური მაინც ერთ-ერთი ნეაპოლელი გულშემატკივარი იყო, რომელმაც კლუბის ოფიციალურ გვერდზე შემდეგი დაწერა: „როგორ ავუხსნა ჩემს მეგობარ გოგოს, რომ კვარაცხელია შემიყვარდა?!“



დაუჯერებელი ამბავი – „დინამოდან“ „ბაიერნში“

დიდი ხანია, მიუნხენის „ბაიერნი“ მსოფლიოს უძლიერეს კლუბთა ხუთეულში შედის. გერმანული მანქანა იმ გრანდთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც მოხვედრა და თამაში ნებისმიერის ოცნებაა. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა 17 წლის ლუკა პარკაძეს, როცა მაგიდაზე ხელმოსაწერად კონტრაქტი დაუდეს და ის მომდევნო ხუთი წლით, სწორედ „ბაიერნის“ საკუთრებაა. 17 წლის ლუკა თბილისის „დინამოში“ ირიცხება და გერმანულ გრანდს მომავალი ზაფხულიდან შეუერთდება, თუმცა კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია და პარკაძე ოფიციალურად „რეკორდმაისტერის“ ფეხბურთელია.

„პარკაძეს დიდი ხანია ვიცნობთ და ჩვენი სკაუტები მას ყურადღებით აკვირდებოდნენ. მან „ბაიერნში“ განვლილ სინჯებზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ამიტომაც, ძალიან გვიხარია, რომ მისი გაფორმება მოვახერხეთ. მადლობა, თბილისის „დინამოს“, ასეთი ფეხბურთელი აღზრდისთვის“, – ეს განცხადება „ბაიერნის“ საფეხბურთო აკადემიის მენეჯერმა, იოხენ ზაუერმა გააკეთა.

დვალიშვილმა ლეგენდა დაამარცხა



UFC-ის ქართველმა მებრძოლმა, შეიძლება ითქვას, კარიერის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიგო. მერაბ დვალიშვილი ლეგენდარულ ბრაზილიელს, ჟოზე ალდოს შეხვდა. თავის დროზე, ალდო UFC-ის ჩემპიონი და დაუმარცხებელი სპორტსმენი იყო. ბრძოლა დიდ აჟიოტაჟს იწვევდა და ალდოს პოპულარობიდან გამომდინარე, ეს გასაკვირი სულაც არ იყო. მეტიც, არაერთმა ცნობილმა ადამიანმა სოციალურ ქსელში, ალდოს მოგებაზე გაკეთებული ფსონების დამადასტურებელი ბილეთები ატვირთა და ისინი გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ. ერთ-ერთ მათგანს 238 ათასი დოლარიც კი ედო, აქაოდა, მოგება გარანტირებული მაქვს და დღის ბოლოს, მეოთხედი მილიონით გავმდიდრდებიო.

ბრძოლა დაძაბულად წარიმართა და დვალიშვილის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. მერაბის უპირატესობა სამივე მსაჯმა დააფიქსირა. აღნიშნულ შეხვედრას გამოეხმაურა UFC-ის ლეგენდარული მებრძოლი, კონორ მაკგრეგორი:

„ქართველებს სათანადოდ არ აფასებენ და მათ ფართო საზოგადოება არ იცნობს. ამ ქვეყნიდან ძალიან ბევრი, დაუჯერებლად მაგარი მოჭიდავე და გრეპლერი მოდის. ისინი ზუსტადაც რომ მოჭიდავეები არიან. ეს პატარა ბიჭი, მერაბი ძალიან მაგარი მებრძოლია“, – დაწერა კონორმა სოციალურ ქსელში.

და ერთიც, ორთაბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, დვალიშვილს ფაფახსა და გულსაკიდზე ჰკითხეს, რომელზეც საქართველოა გამოსახული:

„ფაფახის გამო, რამდენჯერმე, ხაბიბს შემადარეს. ის ლეგენდარული სპორტსმენია, პატივს ვცემ, მაგრამ მე მერაბ დვალიშვილი ვარ და მას არ შემადაროთ. ამ რუკაზე საქართველოა გამოსახული, მე ქართველი ვარ, ხაბიბი – დაღესტნელი. ადრე დაღესტანიც დამოუკიდებელი იყო, შემდეგ რუსეთმა დაიპყრო. 2008 წელს, რუსეთმა საქართველოს გარკვეული ტერიტორიები დაიპყრო და ეს ჩვენი ქვეყნის 20%-ია. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ რუსეთი ოკუპანტია და ისინი იგივეს აკეთებენ უკრაინაში, რაც 2008 წელს, საქართველოში გააკეთეს“, – თქვა მერაბმა.

„ევრობასკეტი 2022“ – საკოლექციო მონეტით

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კალათბურთში, ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით, საკოლექციო მონეტა გამოუშვა. მონეტის ესკიზი კონკურსის წესით შეირჩა და ავერსზე, ალექსანდრე ვერულაშვილის ნამუშევარმა გაიმარჯვა, რევერსზე – სოფიო წიქარიძისამ.

მონეტა გერმანიის სახელმწიფო ზარაფხანაში მოიჭრა და სულ 5 ათასი ცალი დამზადდა, მისი ფასი კი 70 ლარია. შეგახსენებთ, რომ თბილისი ევროპის ჩემპიონატს 1-7 სექტემბერს უმასპინძლებს, სადაც ჩვენს ჯგუფში, საქართველოს გარდა, ესპანეთი, თურქეთი, ბელგია, ბულგარეთი და მონტენეგრო ითამაშებს. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ოთხი საუკეთესო ნაკრები გავა.

მიქაუტაძეში 5 მილიონ ფუნტს იხდიან

ფრანგული „მეცის“ ქართველი ფორვარდის, გიორგი მიქაუტაძის სამსახურით ინგლისური „ჩემპიონშიფის“ კლუბი – „ბარნლი“ დაინტერესდა. ამ გუნდს სათავეში, უახლოეს წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელი, ვინსან კომპანი უდგას და როგორც ამბობენ, სწორედ მისი ინიციატივაა, რომ გიორგიმ კარიერა ინგლისში გააგრძელოს.

ქართველი ფორვარდის სანაცვლოდ, ინგლისელები მზად არიან, 5 მილიონი ფუნტი გადაიხადონ, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ „ბარნლი“ წელს პრემიერ-ლიგაში გადასვლას აპირებს, მიქაუტაძესთვის ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს. სხვა საქმეა, რამდენად გარისკავს მეცი და როგორ შეელევა ფეხბურთელს, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ის პერსპექტივაში, 5 მილიონზე ბევრად მეტი ეღირება.

გაგნიძეზე თანაგუნდელებმა გაიწიეს

ბოლო 14 წლის განმავლობაში, მოსკოვის „დინამომ“, თანაქალაქელ „სპარტაკს“ საშინაო შეხვედრა პირველად მოუგო. მატჩი 1:0 დასრულდა და ალბათ, გაინტერესებთ, რატომ ვამახვილებთ ყურადღებას რუსულ პრემიერლიგაზე მაშინ, როცა რუსული კლუბები ევროსარბიელიდან მოკვეთილნი არიან და მატჩებს, ადგილობრივი ტელევიზიების გარდა, არავინ აშუქებს. საქმე ის გახლავთ, რომ „დინამოს“ რიგებში, ლუკა გაგნიძე თამაშობს. ამ ბიჭზე კი თქვეს, რუსეთში არ უნდა წასულიყოო, მაგრამ... ჯერ ერთი, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ლუკა საქართველოში დაბრუნდა, ყველა ამბობდა, რომ უდიდესი პოტენციალის მქონე ბიჭს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, რომ გაგნიძე საქართველოში არავის დასჭირდა და კარიერას ხომ არ დაასრულებდა? მიიღო რეალური წინადადება და კვლავ რუსეთში დაბრუნდა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას. ერთ-ერთ მომენტში, გაგნიძემ გადაწყვიტა, მეტიქოსთვის ბურთი ფეხებშუა გაეტარებინა, მაგრამ არ გამოუვიდა და მეტოქემ კინაღამ გოლი გაიტანა. ამის გამო, ლუკას ლამის მთელი „დინამო“ დაესია, მასზე პირდაპირ მინდორზე გაიწიეს, მაგრამ შემდეგ ემოციები ჩაცხრა და თამაში გაგრძელდა. ნამატჩევს, თანაგუნდელებმა გაგნიძეს ბოდიში კი მოუხადეს, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ როგორც კი ჩვენებურს შანსი გაუჩნდება, მოსკოვის „დინამო“ უნდა დატოვოს და კარიერა სხვაგან გააგრძელოს.

მარიამობის სევდა

ვანო პავლიაშვილი

კაფანდარა ქალი იყო ბებიაჩემი, გულმხიარული და უდარდელი. ტკბილეული და მოგზაურობა უყვარდა. ოთხმოცს გადაცილებული გარდაიცვალა; არ უავადმყოფია, ცოტა ხანს უწრიალია ლოგინში და სული დაულევია – აი, ასე მშვიდად წავიდა მარადიულში...

რომ გითხრათ, დიდად ეკლესიური იყო-მეთქი, მოგატყუებთ. ან ეკლესიური როგორ იქნებოდა – ერთი წლის ყოფილა, ბოლშევიკებს საქართველო რომ გაუწითლებიათ და მთელი ყმაწვილქალობა და მოწიფულობა კომუნიზმისკენ ლტოლვაში გაატარა – კოლმეურნეობაში მუშაობდა, რიგითი კოლმეურნე იყო. მართალია, შრომის გმირობის ლენინისთავიანი ორდენი არასოდეს მიუღია, მაგრამ სამაგიეროდ, ვლადიმერ ილიჩი ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჰყავდა ნანახი – ბიძაჩემმა საბჭოთა სამშობლოსადმი ჯარისკაცული ვალი მოსკოვში მოიხადა. ჰოდა, პროვინციელ ბიჭს მეგაპოლისი, როგორც ჩანს, მოეწონა და... დარჩა... ბებიაჩემი შვილს ხშირად არა, მაგრამ სტუმრობდა ხოლმე და აბა, იქიდან ისე როგორ წამოვიდოდა, მავზოლეუმში არ შესულიყო და ლენინისთვის საპატიო „კრუგი“ არ დაერტყა?!

მოკლედ, იმას ვამბობდი, რომ დიდად ეკლესიური არ იყო. არადა, უნდა ყოფილიყო – ბებიაჩემის ღვიძლი დიშვილი, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, მონაზვნად აღიკვეცა – მცხეთაში, სამთავროს დედა მონასტერში მსახურებდა. სხვათა შორის, სიკვდილის წინ, ბებიაჩემის დაც, მარიამიც მონაზონი გახდა – შვილთან ერთად, სამთავროშია დასაფლავებული... ბებიაჩემისთვის არასოდეს შემიმჩნევია, ჯვარი ეტარებინა, თუმცა ოთხშაბათ-პარასკევს უეჭველად მარხულობდა. საეკლესიო დღეებში კი, წანდილს ხარშავდა, საკმეველზე მოატარებდა, რამდენიმე ჯამს მეზობლებს მიაწვდიდა და... აუცილებლად სასაფლაოზეც წავიდოდა. მართალია, პაპაჩემი ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ წესად მქონდა, სასაფლაოზე მიმავალ ბაბოს (ქიზიყში ბებიას ბაბოს ვეძახით) აუცილებლად უნდა ავტორღიალებოდი...

დიდი კულინარიული ნიჭით არ გამოირჩეოდა – ახალგაზრდობაში, მეზობელ რუსებს ალუბლის „ვარენიკების“ გაკეთება უსწავლებიათ და ამ „რუსულ ნუგბარს“ დიდი ხალისით ამზადებდა ხოლმე. სუპის მოხარშვაც ეხერხებოდა და კიდევ რაღაც წვრილმანი კერძების გაკეთება, მაგრამ სულთმოფენობისა და მარამობის წინა საღამოს, ბებიაჩემი განსაკუთრებული მონდომებით ფუსფუსებდა: სხვა საეკლესიო დღეებისგან განსხვავებით, ბევრად მეტ წანდილს მოხარშავდა; მერე, მეზობელთან გამაქცევდა, მაგას კარგი ყვავილები აქვს, უთხარი, ხვალ სასაფლაოზე მივდივართ და ცოტა ვარდები და პიონები დაგიკრიფოსო. მეც თავქუდმოგლეჯილი და ისეთი საქმიანი გავრბოდი, გეგონება, კომუნიზმის კარი გააღეს და შესვლა უნდა მომესწრო...

გათენდებოდა... ბებიაჩემი წანდილით სავსე ლიტრიან ქილას დაიჭერდა, მე ყვავილების ვეებერთელა თაიგულს ამოვიიღლიავებდი და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას გავუდგებოდით. ძვალშესალაგი იქვე, ჩემი სახლიდან ორ ნაბიჯშია – ამ ადგილს „ფურცლებს“ ეძახიან. ახლა, არ იკითხავთ, „ფურცლები“ რა არის? რა და, – თუთის ქიზიყური დასახელება... სასაფლაო ორნაწილიანია – ახალი და ძველი... პაპაჩემი ახალ სასაფლაოზეა დაკრძალული...

შავ მარმარილოზე შუახნის კაცის პორტრეტია. პორტრეტის ქვეშ წერია: „დიმიტრი პავლიაშვილი; 1905-1982 წ/წ. ოჯახისაგან“. მარმარილოს ქვაზე მეორე პორტრეტის ადგილი ცარიელია. ერთხელ, ბაბოს ამ ცარიელ ადგილზე ვკითხე. მიპასუხა, მე რომ მოვკვდები, მანდ ჩემს სურათს დახატავენო... სასაფლაო ისეა შემოსაზღვრული, რომ მეორე მიცვალებულიც დაეტიოს – ქართულ ტრადიციას, როგორც ჩანს, არც ბებიაჩემმა უღალატა და თავისთვის ადგილი სიცოცხლეშივე „მიიზომა“. ისე, ალბათ, ბედის ირონიაა: ეს წინასწარმიზომილი ადგილი წილად ბებიაჩემს კი არა, მამაჩემს ხვდა – მამა ბაბოზე 4-5 თვით ადრე დაიღუპა... მაინც, ბედი ჰქონია – ოთხი შვილიდან, მხოლოდ მამაჩემის სიკვდილს მოესწრო. ორივე მამიდა მოგვიანებით გარდაიცვალა. ბიძაჩემი ცოცხალია...

... ყოველ წელს, მარიამობას, ჩემდაუნებურად, ბავშვობაში ვბრუდები... ამ დღეს, ბებიაჩემი რაღაც სხვანაირად, სხვა ემოციით მენატრება ხოლმე და... საკუთარ თავზე ვბრაზობ, რამეთუ დიდი ხანია, სასაფლაოზე არ ვყოფილვარ...

... ამ დილას ძალიან მომინდა, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც მაშინ, ბევრი წლის წინ: ბაბოს, ყვავილების მოსატანად, მეზობელთან გავეგზავნე, თვითონ კი, წანდილი მოეხარშა და... მერე, სასაფლაოზე წავსულიყავით...

ვიცი, ეს სურვილი არასოდეს ამიხდება, მაგრამ... ბებიაჩემი არ მომკვდარა; ბებიაჩემი გარდაიცვალა – ესე იგი, სადღაც, უსასრულობაში ცხოვრობს... ჰოდა, ტყუილად ვთქვი, არასოდეს ამიხდება-მეთქი – მე ხომ არ ვიცი, იქ, უსასრულობაში რა ხდება?..

დღეს ბებიაჩემი მომენატრა...

დღეს მარიამობაა...

ორცხობილა ბანანის ქერქისგან

ამერიკელმა მკვლევარებმა ბანანის ქერქისგან ფქვილი გააკეთეს და ის ცომში დაამატეს. მისგან მომზადებული ორცხობილა ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლო გამოდგა, ვიდრე ხორბლის ფქვილისგან. ქერქისგან ფქვილის მისაღებად, სწავლულებმა მწიფე ბანანის ნარჩენები გაახმეს და დაფქვეს. ამ ფქვილის, კარაქის, რძის, შაქრისა და პურის ფქვილისგან მოზელილი ცომით დააცხვეს ორცხობილები. აღმოჩნდა, რომ ბანანის ქერქის ფქვილი მდიდარი ყოფილა უჯრედისით, მაგნიუმით, კალიუმით, ანტიოქსიდანტებითა და სხვა მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებებით.

საღვაო ძალებში თეთრ მამაკაცებს არ მიიღებენ

დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალებში დროებით შეჩერებულია თეთრკანიანი მამაკაცების მიღება. მიზეზი გენდერული და ეთნიკური სხვაობის მაჩვენებლების გათანაბრებაა. სამხედრო უწყების ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, ასეთი პოზიცია საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის უსაფრთხოებას ჩინეთთან და რუსეთთან არსებული დაძაბულობის ფონზე. ერთადერთი, რასაც სამსახურში მიღებისას ყურადღებას უნდა აქცევდნენ, კანდიდატის მომზადების დონე უნდა იყოს და არა კანის ფერი, ან სქესი.

ლოქდაუნი ერთი დაინფიცირებულის გამო

ჩინეთის მანჯურიის ოლქში მდებარე ქალაქში, რომლის მოსახლეობაც 150 ათასი ადამიანია, კორონავირუსით დაინფიცირების ერთი შემთხვევის გამო, ლოქდაუნი გამოცხადდა. რეგიონში, რომელიც რუსეთს ესაზღვრება, მხოლოდ სპეცტრანსპორტს შეეძლება შესვლა და გამოსვლა. საცხოვრებელი კომპლექსი, სადაც ინფიცირებული ცხოვრობს, სრულად ბლოკირებულია და იქ მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ სახლებიდან გამოსვლა. ქალაქში გაჩერებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობაც, არ მუშაობს სავაჭრო და გასართობი ცენტრები, სპორტდარბაზები, კინოთეატრები, კაფე-რესტორნები. მოსახლეობას ურჩევენ, საცხოვრებელი მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დატოვონ. გარდა ამისა, მთელი მოსახლეობა ვალდებულია, PCR-ტესტირება სამჯერ გაიარონ.

ხმელთაშუა ზღვა ძალიან „გაცხელდა“

ხმელთაშუა ზღვის ტემპერატურამ, თელ-ავივიდან ფრანგულ რივიერამდე, გნებავთ, ბარსელონამდე, ნორმას 3-5 გრადუსით გადააჭარბა. ამის გამო, იღუპებიან ცხოველები, მცენარეები და სხვა ორგანიზმები. მაგალითად, მაიორკასა და სარდინიაზე, მარჯნის რიფები და სხვა წყალმცენარეები კვდებიან. მაღალი ტემპერატურა ხელს უშლის აკვაფერმებში ხამანწკების მოშენებასაც. ჯერ კიდევ 2015-2019 წლებში, სიცხის ტალღები ნეგატიურად აისახა ხმელთაშუა ზღვის 50 სახეობაზე და ხშირ შემთხვევაში, მათი მასობრივი სიკვდილი გამოიწვია. ოკეანოლოგების თქმით, ხმელთაშუა ზღვის მესამედი ნაწილი ადამიანებისგან უნდა იყოს დაცული, რათა იქაური ეკოსისტემები აღდგეს.

ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲥᲛᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲔᲜ

აფრიკის სახელმწიფო ჩადში, ის ადამიანები, რომლებიც უარს იტყვიან „ხელისა და გულის შეთავაზებაზე“, ვალდებულები იქნებიან, „ამჩილინის“ სახელით ცნობილი ჯარიმა გადაიხადონ. მანგალმეს პრეფექტურაში, ადგილობრივმა უმაღლესმა ისლამურმა საბჭომ დაადგინა, რომ ქალს შეუძლია, კაცს მასზე დაქორწინება სთხოვოს. თუ დათანხმდება, 35 ათასი ცენტრალურაფრიკული ფრანკის (დაახლოებით, 55 დოლარი) გადახდა მოუწევს. ხოლო თუ უარს იტყვის, ჯარიმა 100 ათასი ფრანკი (156 დოლარი) იქნება. თუკი ქალი, რომელსაც ცოლად გაყოლას სთხოვენ და უარს იტყვის, 15 ათასი ფრანკის ჯარიმას გადაიხდის. თუ ქალი ქმარს წინა მეუღლეზე ლაპარაკით ისე მოაბეზრებს თავს, რომ გაიყრებიან, მას 50 ათასი ფრანკის გადახდა მოუწევს... არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ჩადის ქალთა უფლებებს იცავს, კანონის გასაჩივრებას აპირებს. ისლამური საბჭო კი აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება ყურანზე დაყრდნობით მიიღეს. აღსანიშნავია, რომ იძულებითი ქორწინებები ფართოდაა გავრცელებული ამ აფრიკულ ქვეყანაში. მსხვერპლი კი, ძირითადად, არასრულწლოვანი გოგონები არიან.

„ომიკრონის“ პირველი ვაქცინა ბრიტანელებისთვის

ნისლიან ალბიონზე ნება დართეს, მსოფლიოში პირველი ბივალენტური ბუსტერული ვაქცინა გამოიყენონ, რომელიც ადამიანს კორონავირუსის „ომიკრონის“ შტამისგან იცავს. პრეპარატი, რომელიც კომპანია Moderna-მ შექმნა, ორგანიზმს COVID-19-ის თავდაპირველი ვირუსისგანაც იცავს. ცნობილია, რომ ვაქცინის ნახევარი დოზა მიმართულია ვირუსის საწყისი შტამის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ნახევარი – „ომიკრონის“ წინააღმდეგ. პრეპარატი შეიძლება გამოიყენონ რევაქცინაციისთვისაც. კლინიკურმა ცდებმა აჩვენა, რომ ბუსტერული დოზა ორგანიზმში ძლიერ იმუნურ დაცვას ქმნის, რაც მას „ომიკრონის“ გართულებებისგან იცავს.

პოლიციაში რეკვისთვის დააპატიმრეს

ამერიკელმა ქალმა, კარლა ჯეფერსონმა პოლიციაში 11 ათასზე მეტჯერ დარეკა და საბოლოოდ, დააპატიმრეს. აღსანიშნავია, რომ ქალს სამართალდამცავების დახმარება არ სჭირდებოდა და მხოლოდ იმიტომ რეკავდა, რომ პოლიციელები გაელანძღა. ფლორიდის შტატში მცხოვრებმა კარლამ ივლისის დასაწყისში, 24 საათის განმავლობაში, პოლიციის განყოფილებაში 512-ჯერ დარეკა. ის ეჩხუბებოდა მორიგე ოპერატორს და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა მას. სამართალდამცავებმა ქალი წერილობით გააფრთხილეს, რომ თუ ასე გააგრძელებდა, მას დააკავებდნენ. გაფრთხილებამ ჯეფერსონი ვერ შეაჩერა და რეკვას კვლავაც განაგრძობდა, საბოლოოდ კი, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. დაკავებისას, ის შესანიშნავ ხასიათზე იყო და აცხადებდა, რომ მოსწონს ასეთი „თამაშები“. მოგვიანებით, ხულიგანი ქალი 400-დოლარიანი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს.

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ „ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ“ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑᲗ

ამერიკული სტარტაპი – StoryFile კლიენტებს უჩვეულო მომსახურებას სთავაზობს. კომპანია ადამიანის ჰოლოგრამას ქმნის, რათა ახლობლებმა მასთან „ურთიერთობა“ გარდაცვალების შემდეგაც შეძლონ. ადამიანის გარეგნობის მიხედვით, მისი ციფრული კლონი იქმნება, რომელიც შერჩეული თემების მიხედვით, კითხვებზე პასუხობს კიდეც, რასაც იმავდროულად, 20 კამერა იწერს. შემდეგ სპეციალისტები ამუშავებენ ჩანაწერებს და მას ხელოვნური ინტელექტის სავარჯიშოდ იყენებენ. ეს აუცილებელია, რათა ჰოლოგრამამ კონკრეტული ადამიანივით შეძლოს კითხვებზე პასუხის გაცემა. საბოლოო პროდუქტი კომპანიის ბაზაში გაეშვება და ამ ადამიანის სიკვდილის შემდეგ, მისი ახლობლები ციფრულ კლონთან „ურთიერთობას“ შეძლებენ.

„ჭკვიანი“ მარლა ინფექციისგან დაგიცავთ

ავსტრალიელმა სწავლულებმა ახალი თაობის მარლა შექმნეს, რომელიც ნანობოჭკოების დახმარებით, ბაქტერიებს ანადგურებს. „ჭკვიანი“ სახვევი მელბურნის სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს. გარდა ამისა, ინფექციის შემთხვევაში, მარლა ფერადად ანათებს. ჭრილობის მჟავა-გარემო, ბაქტერიების გამრავლების შემთხვევაში, ზომიერ ტუტე-გარემოდ გარდაიქმნება. ნანობოჭკოები რეაგირებენ ამ ცვლილებაზე და ფლუორესცენტების დახმარებით, ულტრაიისფერი შუქის ქვეშ ნათებას იწყებენ. ასე რომ, თუ ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა, „ჭკვიანი“ სახვევი ამ მდგომარეობას შეგატყობინებთ.

რონალდუ შვილს ტელეფონს უკრძალავს

ცნობილი ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ, საკუთარ 11 წლის ბიჭს არ აძლევს უფლებას, ჰქონდეს მობილური ტელეფონი. სპორტსმენის თქმით, ამ ასაკში ბავშვმა უნდა გააცნობიეროს შრომის ფასი, რათა სიფრთხილით მოეკიდოს საგნებს. „ის გამუდმებით მეკითხება, შეიძლება თუ არა, ჰქონდეს ტელეფონი. მე უარს ვეუბნები, რადგან ჯერ ადრეა. რასაკვირველია, როგორც მშობელმა, მინდა, მას ყველაფერი მივცე, მაგრამ იმავდროულად, მინდა, რომ გულმოდგინედ იშრომოს, შრომა დააფასოს და მოკრძალებული ადამიანი იყოს“, – აცხადებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი. რონალდუ აღნიშნავს, რომ შეუძლია შვილი ყველაფრით უზრუნველყოს, მაგრამ მან უნდა გააცნობიეროს, რომ დიდი სიხარულისთვის მსხვერპლის გაღებაც საჭიროა.

„წვიმიანი“ ჯიხური დადგეს

კალიფორნიაში, ცხელ დღეებში ტურისტების მოზიდვის ახალი მეთოდი მოიფიქრეს. შტატის ადმინისტრაციამ ლოს-ანჯელესში, ვენის-ბიჩზე, წვიმის ფოტო-ჯიხური დადგა. კალიფირნიელები სიცხეში გასაგრილებლად, ამ ჯიხურთან რიგში დადგნენ. მათთვის ეს განსაკუთრებული ადგილია. რაკიღა ზაფხულში, შტატში წვიმა არასდროს მოდის, მსურველებს ამ ჯიხურში შეუძლიათ ფოტოს გადაღება წვიმიანი სიეტლის ფონზე. ტურიზმის საბჭოს წარმომადგენლის თქმით, ასეთი ჯიხურები ქვეყნის სამხრეთით, სხვა შტატებშიც დაიდგმება.

თვითმკვლელობისგან ძაღლმა იხსნა

ძაღლმა-თერაპევტმა, სახელად დიგბიმ, ახალგაზრდა ქალი სიკვდილს გადაარჩინა, რომელიც ქალაქ ექსეტერის ახლოს, ხიდიდან გადახტომას ცდილობდა. სამი წლის ლაბრადუდელი (ლაბრადორისა და პუდელის ნაჯვარი), ჩვეულებისამებრ, მეხანძრეებს თერაპევტული სეანსების დროს ეხმარება, რათა დაზარალებულები ტრავმებისა და დამწვრობის ტკივილებს გაუმკლავდნენ. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, ის იმ ხიდთან მიიყვანეს, საიდანაც ახალგაზრდა გადახტომას აპირებდა. მანამდე გოგონას ფსიქოლოგები ელაპარაკნენ, თუმცა დადებითი შედეგი ვერ მიიღეს. მაშინ მაშველებმა დიგბის უხმეს დასახმარებლად და ძაღლი ქალთან მიუშვეს. თვითმკვლელობის მსურველმა გოგომ ცხოველის მოფერება გადაწყვიტა და ხიდიდან გადახტომა გადაიფიქრა.

წყალქვეშა მებაღეობას მისდევენ

იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ბაღი შექმნა ხმელეთის მცენარეებისთვის. პროექტი, სახელწოდებით „ნემოს ბაღი“ (Nemo's Garden), Ocean Reef Group-მა, ექსპერიმენტის სახით დაიწყო, სადაც სხვადასხვა სახის მცენარეა წარმოდგენილი – რეჰანიდან მარწყვის ჩათვლით. მკვლევარები იმ შემთხვევისთვის ემზადებიან, თუკი მომავალში, კლიმატური ცვლილებების გამო, იტალიის ზოგიერთი რეგიონი ძალიან მშრალი იქნება სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის. ჰაერით სავსე ექვსი სათბური ლიგურიის სანაპიროსთან, რვა მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მზის ენერგიის დახმარებით, ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, აორთქლილი ზღვის წყალი კი კონდენსირდება სათბურის ჭერის შუშაზე და მას მცენარეების მოსარწყავად იყენებენ. მოწეული მოსავლის მოსაკრეფად, წყალში მყვინთავი ჩადის. სპეციალისტები ამბობენ, რომ მაღალი წნევა, რაც წყლის სიღრმეშია, სინამდვილეში, სასარგებლოა მცენარეების სიჯანსაღისა და ზრდისთვის. თანაც, ეს პირობები მოსავალს ინტენსიურ გემოს ანიჭებს. თუკი გავითვალისწინებთ, რა გვალვებია წელს იტალიაში და ზოგადად, ევროპაში, ჩანს, ახლო მომავალში, წყალქვეშა ბაღი საკმაოდ პოპულარული გახდება.

ყინულის დიეტა შეიმუშავეს

შეერთებულ შტატებში, სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ყინულის დიეტა, რომლის ავტორიც გასტროენტეროლოგი, ბრაიან ვაინერია. დოქტორმა არა მხოლოდ გაანდო გახდომის მსურველებს ყინულის უპირატესობა, მათ ამ თემაზე წიგნი – The Ice Diet დაუწერა და ინტერნეტში უფასოდ განათავსა. წიგნში აღწერილია ახალი დიეტის ყველა ძირითადი უპირატესობა და განსაკუთრებული თვისებები. ამერიკელი სწავლულის განცხადებით, ყინული შესანიშნავად წვავს კალორიებს (160 კილოკალორიას ისევე, როგორც 1.6 კილომეტრის გარბენისას). თუმცა, დოქტორის თქმით, ყინულით ზედმეტად გატაცებაც არ ღირს, საკმარისია, დღე-ღამეში მხოლოდ ერთ კილოგრამამდე მიირთვათ. ვაინერის თქმით, როცა ადამიანი ყინულის მნიშვნელოვან რაოდენობას მიირთმევს, მისი ორგანიზმი ამ ყინულის გასადნობად, ენერგიას წვავს. ყინულის ჭამა, გარკვეულწილად, დანაყრებასაც იწვევს, რადგან გადნობამდე, ფიზიკურად ავსებს სივრცეს პირის ღრუსა და შემდგომ კუჭში. ასე რომ, ყინულით ორმაგი ეფექტის მიღწევა შეიძლება – დანაყრდებით და ამავდროულად, ზედმეტ კალორიებსაც დაწვავთ. დოქტორის განცხადებით, ყინულის ზომიერად მიღება ადამიანის ჯანმრთელობას არავითარ პრობლემას არ შეუქმნის. რაც შეეხება კბილებს, ყინულის დაკვნეტისას, შესაძლოა, კბილის ემალი და ღრძილებიც დაზიანდეს. ამ შემთხვევაში, დოქტორი მსურველებს ურჩევს, ყინული ან პირში გაადნონ, ან დაფხვნან და ისე მიირთვან.

სუშიც „გააფერადეს“

უკანასკნელ პერიოდში, ფასტ-ფუდის მთავარი ტრენდი ცისარტყელა გახდა. დიზაინერებმა და კულინარებმა შექმნეს ფერად-ფერადი ღვეზელები, ბლინები, პიცა, სენდვიჩები – ჭრელი ყველით. ახლა სუშის რიგიც დადგა – სოციალური ქსელები აჭრელდა იაპონური სამზარეულოს ამ კერძის „ფერადი“ ფოტოებით. მოხმარებლებმა მთელი მსოფლიოდან, რამდენიმე მეთოდი მოიგონეს სუშისა და როლის ცისარტყელას ფერებში შესაღებად – ბრინჯის შეღებვით, ფერადი წყალმცენარეების გამოყენებით, ფერადი ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტების შერჩევით. უმაღლეს „პილოტაჟად“ ითვლება, თუკი სუშის ცისარტყელას ფერები მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით იქნება მიღწეული.

ვიაგრას ალტერნატივა აღმოაჩინეს

იტალიელმა მეცნიერებმა ვიაგრას ბუნებრივი ალტერნატივა იპოვეს. მათი განცხადებით, ჩიტიწვივა („გორიანკა“) – კოწახურისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, შეიძლება ერექტილური დისფუნქციის სამკურნალო პრეპარატების წარმოებისთვის ნედლეულად გამოდგეს. აპენინელ სწავლულთა თქმით, ახალი წამალი ისეთივე ეფექტური იქნება, როგორც ვიაგრა და ის უფრო ნაკლებ გვერდით მოვლენებს გამოიწვევს. მილანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ოთხი მცენარის თვისებები შეისწავლეს, რომელთაც აზიის ქვეყნებში, აფროდიზიაკების რანგში იყენებენ. აღმოჩნდა, რომ ჩიტიწვივას კომპონენტს, სახელწოდებით – იკარიინი, შეუძლია იმ ფერმენტის (ფოსფოდიესტერაზ-5) ბლოკირება, რომელიც სასქესო ორგანოს სისხლით მომარაგებას აკონტროლებს. იგივე მექანიზმი – ფერმენტის ბლოკირება დევს პოპულარული ვიაგრას მოქმედების საფუძველში. იკარიინის ექსტრატთან დაკავშირებული ექსპერიმენტებისას, იტალიელმა მცნიერებმა ამ ნივთიერების მოდიფიცირებული ვერსია მიიღეს, რომელიც ეფექტურობით ვიაგრას არ ჩამორჩება. ამავდროულად, ახალი „წამალი“ გაცილებით უფრო უსაფრთხო აღმოჩნდა, ვიდრე ცნობილი პრეპარატი. საქმე ისაა, რომ ვიაგრას აქტიური კომპონენტი დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ამ ფერმენტზე, არამედ, სხვა ფოსფოდიესტერაზებზეც, რაც ფერების აღქმისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევას იწვევს. ამჟამად მეცნიერები იკარიინის კლინიკურ შემოწმებას გეგმავენ. თუ ცდები წარმატებული აღმოჩნდება, ახალი საშუალება ერექტილური დისფუნქციის სამკურნალოდ ბაზარზე, დაახლოებით, 8-10 წელიწადში გამოჩნდება.

სწარაფად დაბერების მიზეზს მიაგნეს

ადამიანის დაბერების პროცესს სერიოზულად აჩქარებს მავნე ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში გარემოდან ხვდებიან, – ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. კაროლინის უნივერსიტეტის ონკოლოგიური ცენტრის სპეციალისტებმა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ გენები მხოლოდ 30%-ით განსაზღვრავენ, თუ როგორ გამოიყურება ადამიანი, გარე-ფაქტორები კი ორგანიზმზე გაცილებით სერიოზულად ზემოქმედებენ, მათი როლი ექსპერტებმა 70%-ით შეაფასეს. დაბერების პროცესის სისწრაფის განსაზღვრის მეთოდიკა მკვლევარებმა მღრღნელებზე გამოსცადეს. ექსპერიმენტისას, ის გენებიც გამოავლინეს, რომლებიც შედარებით მეტად უწყობენ ხელს დაბერებას. მიღებული მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ ყველაზე საშიში ტოქსინია სიგარეტის კვამლი, მეორე და მესამე ხარისხის ზიანს ახალგაზრდობას ულტრაიისფერი გამოსხივება და ქიმიოთერაპია აყენებს, თანაც ეს უკანასკნელი პროცედურა, სიბერეს 15 წლით გვიახლოვებს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ძირითადად, ეს ფაქტორები აზიანებენ ჯანმრთელ უჯრედებს, რომლებიც ნეგატიური ზემოქმედების გამო, გაყოფის უნარს კარგავენ. დროთა განმავლობაში, დაზიანებული უჯრედები გროვდებიან ორგანიზმში და სხვადასხვა სახის ანთებით პროცესებს იწვევენ, შედეგად კი ათასგვარი ასაკობრივი დაავადებაც ჩნდება.

ორგანოს ზომა ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება

აშშ-ს ატლანტის კვლევითი უნივერსიტეტის – Emory მეცნიერებმა ახალი ნაშრომი წარადგინეს. ამერიკელი სწავლულების თქმით, ნებისმიერი ორგანოს ზომა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს. მაგალითად, გრძელი ენა მიუთითებს, რომ ეს ადამიანი მიდრეკილია უძილობისკენ და ხშირად სუნთქვის უკმარისობათაც იტანჯება, ამასთან, დიდი ენის პატრონები ყოველთვის ხვრინავენ. თუ დიდი ზომის ენა ან ნუშისებრი ჯირკვლები გაქვთ, ეს სერიოზული პრობლემაა. ის იჭედება პირის ღრუს უკანა მონაკვეთში და ძილის დროს, საჰაერო გზას ბლოკავს. შედეგად, მოდუნებული, მძინარე ადამიანი ხვრინვას იწყებს, – აცხადებენ მკვლევარები.

სწავლულების თქმით, დიდთეძოებიან ქალებს ტვინის ფუნქციონირება დარღვეული აქვთ. ეს განსაკუთრებით მძაფრდება მენოპაუზის დროს. ჩიკაგოელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი 65-დან 79 წლამდე ასაკის 9 ათასამდე ქალზე ჩაატარეს. მეხსიერების ტესტისას მათ, რომლებიც ჭარბწონიანები იყვნენ, ძალიან დაბალი ქულები დააგროვეს. თეორიის თანახმად, ზედმეტი წონა ტვინში სისხლის მიწოდებას ხელს უშლის. ვიწრო თეძო კი, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გარეგნულადაა ლამაზი. სწავლულთა თქმით, ის გულის დაავადებებისა და ნაადრევი სიკვდილის მიზეზია. დანიელი მეცნიერები თვლიან, რომ ამ ყველაფრის მიზეზი სხეულის ამ არეში კუნთის სუსტი მასაა, რომელიც ინსულინის მგრძნობელობაზე ახდენს გავლენას.

აღმოჩნდა, რომ თითის სიგრძე მამაკაცებში, პროსტატის არსებობის ნიშანია. ბრიტანეთის კიბოს კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა პროსტატით დაავადებული 1500 მამაკაცის ხელი, 3 ათასი ჯანმრთელი მამაკაცის ხელის აგებულებას შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ მათ, რომლებსაც საჩვენებელი თითი არათითზე უფრო გრძელი აქვთ, ეს დაავადება ხშირად აწუხებთ, ამასთან, ყოველთვის დეპრესიულებიც არიან. ამერიკელი ქირურგის, დევიდ ჰოული ჰან-ბურნის თქმით, თუ ადამიანს ფეხის მეორე თითი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე დიდი თითი, მას ხშირად აწუხებს ოსტეოქონდროზი. ადამიანები, რომლებსაც დიდი თვალები აქვთ, ძირითადად ახლომხედველები არიან. ოფთალმოლოგების თქმით, თუ თვალის ზომა არსებულ სტანდარტზე ერთი მილიმეტრითაც კი გრძელი იქნება, ბავშვი ახლომხედველი იბადება. რაც შეეხება გრძელ ფეხებს, სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ასეთ ადამიანებს დიაბეტი არასდროს აწუხებთ.



უსუნო ნიორი კოცნისთვის

იტალიურ სამზარეულოში უხვად იყენებენ ნიორს, რამაც შესაძლოა, გარკვეული უხერხულობა შექმნას რომანტიკული ვახშმისას ან შემდგომი პაემნებისას – ნივრის სუნი ყველაფერს აფუჭებს. სწორედ ამის გამო, სწავლულთა ჯგუფმა ტოსკანადან, გადაწყვიტა, ნივრის ახალი სახეობა გამოეყვანა, რომელსაც სუნი არ ექნებოდა. მათმა ცდებმა დადებითი შედეგი გამოიღო და მიიღეს პროდუქტი, რომელსაც „ნიორი კოცნისთვის“ უწოდეს. აღსანიშნავია, რომ მცენარე ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება – მისი გემო და არომატი ისეთივე მწვავეა. მკვლევართა თქმით, ნივრის ახალი სახეობის გამოსაყვანად, მათ პროდუქტის ადგილობივი, მივიწყებული სახეობა გამოიყენეს, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, ძალიან პოპულარული იყო და მერე თითქმის გაქრა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.